ᲙᲕᲐᲚᲘ

ᲫᲝᲚᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

№ 3 — ᲙᲕᲘᲠᲐ, 11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1902 ᲬᲚᲘᲡᲐ. — № 33

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარათის ქუჩაზე, № 27. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: სამშობლო ენა აღზრდის საქმეში, X-სა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—საზღვარ-გარეთ.—რუსეთის ცხოვრება.—გლახაკი, ლექსი რუსაძისა.—ორდენი, მოთ. ა. ჩეხოვისა.—ნაკადული, ლექსი ბრაზათ, ი. იმედაშვილისა.—თფილისის სტამბები.—სხვა-და-სხვა წარმოებაში მომუშავეთა რაოდენობა და მათი ხელფასის ჯამი, კარგად რაიტისა.—ზოგიერთი ცნობები სოფ. სამ. წარ. შესახებ, ვ. შავდიასი.—საზოგადოებრივ ჰიგიენიდან, ექიმისა—განცხადებანი.—

სამშობლო ენა აღზრდის საქმეში.

მშობლიური გრძნობა არის ერთი ძლიერი და პატიოსანი გრძნობათაგანი. ისაა წყარო ადამიანის საუკეთესო მისწრაფებათა, იმით სულდგმულობს კაცობრიობის უმეტესობა. მაგრამ, მას, როგორც ყოველ თვისებას ორგანიული არსებისა, ვარჯიშობა უნდა. თუ თავი მივანებეთ, ის მახინჯდება, ყალბ გზას ადგება და ხშირათ სიკეთის მაგიერ მომაკვდინებელ, გინდ გამათახსირებელ ვნებას აყენებს თავის საგანს. სხვათა შორის მშობლიური გრძნობის დამახინჯებას ჩვენ ვამჩნევთ დღევანდელ აღზრდის საქმეში. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ადამიანი საზოგადოების გარეშე. ის თვისებები, რაც ჩვენ სხვა ცოცხალ არსებებიდან გვანსხვავებს, ის თვისებები, რომელნიც ჩვენ ადამიანობას გვანიჭებენ, შეძენილია საზოგადოებაში. საზოგადოება და ადამიანობა, შეგვიძლია ვთქვათ, სინონიმებია. ხოლო საზოგადოება განყენებულ რიმეს კი არ წარმოადგენს. ის არის კონკრეტიული ფაქტი, ის მჭიდროთ შეკავშირებულია დროსა და ადგილთან და მათთან ერთათ განიცდის მუდმივ ცვალებადობას. რომ ამა თუ იმ დროს ამა თუ იმ საზოგადოებამ შეირჩინოს თავისი სახე, დაიცვას თავისი არსებობა და წევრების ურთიერთი დამოკიდებულება, ამისთვის საჭიროა შემაკავშირებელი ძალა. საზოგადოება დღეანდლამდის არ წარმოადგენს თავისუფალ, ნებაყოფლობით შედგენილ ორგანიზაციას. ის არის ბევრათ თუ ნაკლებათ ძალდატანებითი ორგანიზაცია. და როგორც ასეთი, საჭიროებას ისეთ იარაღებში, რომელნიც მის არსებობას უზრუნველყოფენ. ერთი ასეთი იარაღთაგანი არის აღზრდა. ამა თუ იმ ორგანიზაციის დამცველნი პირდაპირ დაინტერესებული არიან, რომ მისი შემადგენელი ერთეულნი იყვენ ამ ორგანიზაციის მორჩილნი და მოტრფიალენი. აი, სწორეთ ამიტომ დასაბამიდანვე, აღზრდის საქმე არის საზოგადოების მხედველობაში. ყოველი საზოგადოება ცდილობს თავის მომავალი წევრები თავის გემოსა და მოთხოვნილების მიხედვით გაწვრთნას.

პირველ ხანებში, როცა საზოგადოებრივი ორგანიზაცია კიდევ სუსტია, ამ ორგანიზაციას არ აქვს ისეთი გავლენა აღზრდაზე. მარა რამდენათ დრო მიდის, იმდენათ ორგანიზაცია ვითარდება, იმდენათ ორგანიზაციის შემადგენელი ერთეული უფრო და უფრო კარგავს თავის დამოუკიდებლობას და ემორჩილება მის ძალას. ეს დამორჩილება პირველ ყოვლისა აღინიშნება აღზრდაში. აღზრდის საქმე სახელმწიფო მონოპოლიათ ხდება. სახელმწიფო განსაზღვრულ ფარგლებში აყენებს აღზრდის საქმეს, განსაზღვრულ წესით წვრთნის თავის მომავალ წევრებს. და რამდენათ მისი ძალა იზრდება ამ საქმეში, იმდენათ ოჯახი კარგავს გავლენას და მნიშვნელობას თავის შვილების აღზრდაში. ასიოდე წლის წინეთ აღზრდა უფრო თავისუფალი იყო. მაგალითათ, ჩვენ ვიცით, რომ გამოჩენილი ფილოსოფოსები, გინდ, ვთქვათ, ინგლისელი ლოკკი, თავის შეხედულების და რწმენის მიხედვით ზრდიან თავის შვილებს. აქ იცვება სრული ინდივიდუალობა, მასწავლებელი ცდილობს მთელი თავისი ინებრივი და ზნეობრივი ძალა გადაცეს შვილს. დღეს ეს აღარაა. დღეს მართალია სწავლის საქმე უფრო დემოკრატიულათაა დაყენებული, ესე იგი უფრო მეტს შეუძლია გამოიზარდოს, მარა სამაგიეროთ ის განსაზღვრულია, და ინდივიდუალობას აღარ აქვს ისეთი ძალა და გავლენა აღზრდის საქმეში. ამიტომაცაა მშობლიური გრძნობა რომ დაჩლუნგდა შედარებით. დღევანდელი მშობელი წელებზე ფეხს იდგამს, თავის მოვალეობის შეუკნებლობას. ჩვენში მაინც „დიდათ რომ თვისი შვილი მატერიალურათ უზრუნველყოს, აგროვებს სიმდიდრეს, უმზადებს შვილს მოხელის ადგილს. ამავე დროს ნაკლებათ ფიქრობს იმაზე, რა ზნეობის, რა ჭკუის, რა მიმართულების იქნება ეს მისი შვილი. აქ ის იჩენს სრულ გაუგებრობას და განათლებული“ მშობელიც კი სრულიათ უვიცია აღზრდის საქმეში და ხშირათ ვერც კი ამჩნევს, თუ რა გამათახსირებელი და დამჩლუგებელი გავლენა აქვს მის შვილებზე ამა თუ იმ ამღზრდელ ზომებს. აბა, სხვა რით აიხსნება ისე აბუჩათ აგდება სამშობლო ენის, როგორს ... ჩვენ ვამჩნევთ? ჩვენ აქ მეტათ მივეჩინია სამშობლო ენის მნიშვნელობაზე ლაპარაკი,

მხოლოთ შევნიშნავთ შემდეგს. საუკეთესო პედაგოგები, საუკეთესო მეცნიერები და, მე მგონია, უბრალო გონიერებაც, იმას გვეუბნებიან, რომ სამშობლო ენის გარეშე წარმოუდგენელია საღი განვითარება. აღზრდა ორგანიული მოვლენაა. ის მოითხოვს თანდათანობას, რომ ნორმალურათ მიმდინარეობდეს. თუ ის თანდათან არ მიმდინარეობს და რაიმე გარეშე ძალა აფერხებს, მაშინ მოზარდი მახინჯდება, ნორმალურ გზას უხვევს. შენიშნულია არა თუ კერძო პირების შესახებ, არამედ მთელი ერების, რომ შიბაძვის ეპოქა არის ეპოქა უნიჭობის, შემოქმედებითი ძალის შესუსტების. როგორც მოგეხსენებათ, დღეს ცხოვრება მეტათ გართულდა. გართულებას თან მოყვა სპეციალიზაცია. ადამიანის საქმოქმედო ასპარეზი დანაწილდა ურიცხვ ცალკე მოქმედებათ, რომელთა შესრულება მოითხოვს განსაკუთრებულ, თავისებურ, ესე იგი სპეციალურ მომზადებას. მაგრამ სანამ ადამიანი სპეციალურათ რამეს შეისწავლიდეს, საჭიროა იმა ქონდეს საზოგადო განვითარება, იმას უნდა ესმოდეს ძირითადი კანონები მეცნიერების და ცხოვრების; საზოგადო განვითარება უნდა იყოს საფუძველი ყოველი ცოდნისა. ხოლო დღეს ადამიანის ცოდნა იმდენათ მდიდარია, რომ ძირითადი კანონების შეთვისებასაც დიდი დრო უნდება. ამიტომ თუ გვინდა კაცი შესაფერათ გავავითაროთ, მივსცეთ სიძლიერე მის გონებას, იმ შემთხვევაში არავითარი რამ გარეშე ამ მიზნისა მას არ უნდა აბრკოლებდეს. დღეს სხვათა შორის გავრცელებულია ერთი მეტათ მავნე აზრი, თითქო რაკი ბავშვს მექანიური მეხსიერება ძლიერი აქვს, ამიტომ უცხო ენების შესწავლა სწორეთ სწავლის პირველ საფეხურზე იყოს საუკეთესო. ეს სრულიათ უსაფუძვლო და მასთან მეტათ მავნე შეხედულობაა. თუ ბავშვს მეხსიერება ძლიერი აქვს, მაშინ მიაწოდეთ მას სამშობლო ენაზე ცოდნა, რომლის შეთვისება მისთვის აუცილებელია, განავითარეთ ის იმ იარაღის შემწეობით, რომელიც მის ხელშია. პირველი მიზანი სწავლისა განვითარებაა. ამერიკაში დღეს გამოჩენილმა პედაგოგებმა შექნეს ძლიერი მოძრაობა. ისინი ამტკიცებენ— 14—15 წლამდე ბავშვს უცხო ენა არ უნდა ვასწავლოთო, ამ დროს განმავლობაში ის უნდა განვავითაროთ სამშობლო ენაზე, შევაგნებიოთ საესებით მეცნიერების და საზოგადო მოვლენების ძირითადი კანონები და როცა სამშობლო ენაზე მოზარდს დაუმკვიდრდება ცოდნა, გამოირკვევა მისი გონებრივი ფიზიონომია, მხოლოთ მაშინ გადავიდეთ უცხო ენების შესწავლაზე. ამავე პედაგოგების დაკვირვებით და გამოცდით ასეთი წესი ენის შეთვისებაში არა თუ მოუხერხებელია, არამედ პირიქით შეგნებული და განვითარებული გონება მეტათ ადვილათ ითვისებს უცხო ენებს.. რასაკვირველია, ამერიკელ მეცნიერ-პედაგოგების აზრი იდეალურია და წარმოსადგენია, რომ მისი საესებით განხორციელება შესაძლებელ ათ ასწევს კაცობრიობის შემოქმედებით ძალას, მეტ სიმტკიცეს და სისპეტაკეს მიანიჭებს მას. პირიქით აღზრდის პირველ საფეხურზე ენების არევა—ეს გონებრივი დახშეაა, ის თითქო განგებაა გამოგონილი იმისთვის, რომ კაცს მოაკლოს ჭკუა, მოაკლოს აზროვნების ძალა და გახადოს ის უბრალო გამზეპირებლათ. როცა ხალხს ვართმევთ სამშობლო ენას, ან ხელს უშლით მის თავისუფალ განვითარებას, ამით ჩვენ ხალხს ვართმევთ შეძლებას თავისი აზრის გამომჟღავნების, ვაჭერებთ მის გონებრივ ზრდას და ამით ვამცირებთ მის ღირსებას. საუბედუროთ ეს ჩვენ სრულიათ არ გვესმის. ჩვენ რომ აღზრდის საქმეს იდეალურათ ვერ მოვაწყობთ, ეს არავისთვის არაა საეჭვო. მაგრამ ცოტაოდნათ თუ მაინც შეგნებული გვექმნება ჩვენი მოვალეობა მოზარდი თაობისადმი, იმ შემთხვევაში ცოტათი მაინც ავცდებით გამათახსირებელ გავლენას და ნორმალურ განვითარების გზას მიუახლოვდებით. ამიტომ საჭიროა დაუფიქრდენ ჩვენი მშობლები, ჩვენი საზოგადოება აღზრდის საქმეს და მიაქცინ მას ჯერ-ვანი ყურადღება....

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სხვა-და-სხვა ამბები.

ათ აგვისტოდან ძალაში შედის სავალდებულო დ[illegible] დგენილებანი იარაღის ტარების აღკრძალვის შესახებ. ამ[illegible] ტომ ბევრს მიუმართავს თფილისის პოლიცმეისტრისათვის დ[illegible] უთხოვია იშუამდგომლოს, ნება მიეცეთ იარაღის ტარებისა[illegible] პოლიცმეისტერს თხოვნების განხილვის შემდეგ უმეტეს ნ[illegible] წილისათვის უარი უთქვამს.

ახლო მომავალში, ქალაქ ბათუმში იხსნება ქალაქის ახა[illegible] ლი საავათმყოფო, რომლისათვისაც მოწვეულები არიან: საა[illegible] ვათმყოფოს გამგეთ—ექიმი ფინკელშტეინი პეტერბურგიდან[illegible] უფროს ორდინატორათ ექიმი მხეიძე, უმცროსებათ ექიმ[illegible] შატილოვი და ექიმი ქალი კოგანი. საავათმყოფოს ზედამხედ[illegible] ველათ იქნება საბჭოს ხმოსანი კარლო ჩხეიძე. ქალაქის სასა[illegible] ნიტარო ექიმის თანამდებობაზე მოწვეულია ექიმი ბეთანოკი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას გადაუწყვეტი[illegible] შემოდგომიდან თფილისის სადგურზე ვაგონების სადგომ[illegible] გამართოს ხელოსნებისა და მუშებისათვის სასადილოები. სა[illegible] დილებს მუშებს და ხელოსნებს დაუთმობენ იაფათ და ზოგ[illegible] ჯერ ნისიათაც.

საერო განათლების სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის[illegible] სამოსწავლო ოლქის მზრუნველს პროგრამა და გაკვეთილების[illegible] განაწილება, რომელიც შემოღებული უნდა იქნას საშუალო[illegible] სასწავლებლებში ამ სამოსწავლო წელს. ოლქის მზრუნველმ[illegible] ამის შესახებ განკარგულება მოახდინა თავის ოლქში.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი[illegible] რომელიც ამ ჟამათ სოხუმში იმყოფება, ამ თვის შუა რიც[illegible] ხვებში გაემგზავრება ჩრდილოეთ კავკასიის სკოლების სარევი[illegible] ზიოთ.

ორ აგვისტოდან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნ[illegible] ველის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ბ. შენგერი.

„Бакинскія Извѣстія“-ს სიტყვით: თიანეთისა და თე[illegible] ლავის მაზრების საზღვრათ თ-დ ჩოლოყაშვილის მამულში, რომელიც იჯარით აქვს აღებული გრუბიშჩის და კომპ. ნა[illegible] ვთის მწარმოებელ ამხანაგობას, ამოთხრილ ჭიდან ამოუ[illegible] ხეთქია ნავთის შადრევანს. სიღრმე ჭისა დიდი არ არის[illegible] თურმე.

„Петерб. Вѣд.“-ში დაბეჭდილია წერილი ქრ. ვერმი[illegible] შევისა შავი ზღვის პირის დასახლებისა და გაცხოველების შე[illegible] სახებ ადგილ-მამულის კარგი შემუშავებით. მარტო რუსნი არ[illegible] უნდა იქნას იქ დასახლებულნი. ბევრს ვერც არას გააწყობენ[illegible] ისინი. მდიდარნი რუსნი გააცხოველებენ თვით ზღვის-პირს[illegible] ესე 100,000 დესეტინას, დანარჩენი 500,000 დესეტინა შე[illegible] უმუშავებელი დარჩება. ამისათვის საჭიროა ყველა კავკასიელს[illegible] მიეცეს ნება იქ მოსახლობისა. ეს არც პოლიტიკურათ იქნება[illegible] საშიში რუსეთისათვისაო.

რომელმა ოსმალეთიდან ლტოლვილმა სომეხმაც არ მიი[illegible] ღო ქვეშევრდომ ბა რუსეთისა, იმან 19 აგვისტომდე უნდ[illegible] დასტოვოს თფილისი და წავიდეს უკან ოსმალეთში. თუ არა[illegible] და ამისთანა ლტოლვილნი მეშჩანთა სიაში იქნებიან მოქცე[illegible] ულნი პოლიციის მიერ.

---

1 სექტემბრიდან დაიწყებს მოქმედებას ახალი წესი საბეითალო-საპოლიციო ღონისძიების მიღებისათვის საქონლის ჭირის საწინააღმდეგოთ. ამ წესით, ფული მიეცემა არა მარტო იმას, ვისაც ჭირით ავათმყოფ საქონელს მოუკლავენ, არამედ იმასაც, ვისაც სხვა რამ ავათმყოფობით მოუკვდება საქონელი და ამ ამბავს თავის დროზე აცნობებს ბეითალს. ახალი წესითვე ბეითლებს დაენიშნებათ ჯამაგირათ პირველ რიგისას: 1,500 მან., მეორისას — 1,200 მან., მესამისას 1,000 მან.

თფილისის გუბერნატორმა წარუდგინა კავკასიის მთავარმართებელს დასამტკიცებლათ შუამდგომლობა, რომლითაც თელავის თვით-მართველობა თხოულობს, რომ ნება მიეცეს დაწესოს გარდასახადი ქალაქში მირეკილ საკლავ საქონელზე და აგრეთვე ხორცის მიკროსკოპიულათ გამოკვლევაზე. თელავის თვითმართველობის მოხსენებით, უნდა დაწესდეს: ათ-ათი შაური დაკლულ ღორის მიკროსკოპიულათ გამოკვლევაზე, 20 კაპ. ვიჩინაზე და 10 კაპ. გოჭზე. ხოლო ბაზარში მორეკილ სხვილ-ფეხა საქონელზე 10 კაპ., წვრილ-ფეხაზე—5 კა.

მომავალი წლიდან აპირობენ შეუდგენ მუშაობას და სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოწყობას ქუთაისის გუბერნიაში.

დღევანდლამდე ამიერ კავკასიის რკინის გზებზე უმცროს მოხელეებსა და მათ მახლობელ ნათესავებს რკინის გზით სარგებლობისათვის უფასო ბილეთები ეძლეოდათ სადგურთა უფროსებისაგან, თანახმათ იმ წიგნებისა, რომელსაც უფროსებს რკინის გზის მართველობა უგზავნიდა. მართველობამ ამ დღეებში გადაწყვიტა, რომ ამიერიდან მოხელეებს ბილეთები სადგურის უფროსების ნაცვლათ პირდაპირ რკინის გზათა მართველობისაგან მიეცეთ ხოლმე.

ჭიათურიდან გვწერენ: აქაურ საკვირაო სკოლას წელს ბევრი თანამგრძნობი გამოუჩნდა: გარდა იმისა, რომ რამოდენიმე ამათგანი თავის შრომით, მასწავლებლობით შველიან, დანარჩენებთაც ვალდებული გახადეს თავიანთი თავი სხვა რამეთი აღმოეჩინათ დახმარება, მაგ., ბ. ი. დეკანოზიშვილი 5 მ. იხდის სკოლის სასარგებლოთ ყოველ თვეში დაწყებული ამ წლის თებერვლიდან, ბ. ა. გალუსტოვმა ჟურნალი „ჯეჯილი“ ერთი წლით გამოუწერა სკოლას, ბ. დ მარაქველიძემ შემოწირა გოგოლის თხზულებები, ბ. იოს. კაკაბაძემ განცხადებების დასაბეჭდი 3 მ. გადაიხადა, ბ. ს. კვიცარიძემ ერთი წლით „კვალი“ გამოუწერა სკოლას.

დაგვრჩენია ვისურვოთ თანაგრძნობა გაგრძელებულიყოს და მასთან ერთი დაბალი სასწავლებელი მაინც დროით ღირსებოდეს მრავალ-ტანჯულ ჭიათურას, რათა საკვირაო სკოლას თავისი ხასიათი არ დაკარგოდეს წელიწადში ორჯერ მღების განსაზღვრით.

თავ. ვეზირიშვილის მოკვლის გამო პოლიციამ დააპატიმრა ხუთი ოსი, ხუთივე ვეზირიშვილის ხიზნები. ეხლა თითქმის გამოირკვა ამ საქმის ყოველივე ვითარება. ბოქაულის გოგოხიას წყალობით, თვით მკვლელნი გამოტეხილან. გოგოხიას საიდუმლოთ უთქვამს, თქვენ საქმეს ჩავფუჩეჩებ, ოღონდ ცოტაოდენი ფული მომეცითო. ოსები მოტყუებულან, გონებიათ, ქრთამით თავს დავიხსნითო და ფული მიუციათ, თანაც ყოველვე უამბნიათ. მეორე ოთახში ამ დროს მაზრის უფროსი ყოფილა, რომელსაც ლაპარაკი გაუგონია და შესულა.

თვით მკვლელობა ასე მომხდარა. 31 იელისს ვეზირიშვილი წასულა თავისს მამულში, რომელზედაც ხიზნებს ცხოვრობენ. ვეზირიშვილს ძველი პირობანი შეუცვლია და ახალი რო ფასიც მოუმატებია. წასულა ოსებთან იმიტომ, რომ გაეგო, თანახმანი არიან, თუ არა ამ ახალი პირობებისა. ოსებს წინდაწინვე გადაუწყვეტიათ ვეზირიშვილის მოკვლა, ამიტომ როდესაც ეს უკანასკნელი სოფელში მ-სულა, იმის პირობაზე თანხმობა გამოუცხადებიათ. შეთქმულების სული და გული ჯიბრაილ გოგიჩაშვილი ყოფილა, რომელიც ტყის დარაჯათ იყო ინქენერ ზეზემანთან, ეს ჯიბრაილი, იმისი შვილი მაქსი, გიგლა და სანდრო გოგიჩაშვილნი ტყეში ჩასაფრებულან, იმ ადგილას, სადაც უკან დაბრუნებისას ვეზირიშვილს უნდა გაევლო. პირველათ თოფი გიგლა გოგიჩაშვილს გაუსროლია, მაგრამ ტყვია აუცდენია; მაშინ უსროლია სანდრო გოგიჩაშვილს და კიდეც მოუკლავს ვეზირიშვილი. (ც. ფ.)

„ხარკოვის ვესტნიკ“-ში შემდეგსა ვკითხულობთ გუბერნატორის თავ. ობოლენსკის მოკვლის განზრახვის შესახებ. გუბერნატორი მალაროსთა დასის წარმოდგენაზე ყოფილა. მეორე მოქმედების ანტრაქტის დროს თავ. ობოლენსკი თეატრის წინ იდგა, გუბერნატორის ლოჟის შესავალთან და ებაასებოდა საერობო კამგეობის თავმჯდომარის მეუღლეს ქ-ნ ო. ნ. გორდეენკოს. იქვე იყვენ მ. ე. გორდეენკო, ა. ა. ალხოვსკი და ხარკოვის პოლიცმეისტერი კ. ი. ბეზსონოვი. ამ დროს გუბერნატორს საჩქაროთ მიუახლოვდა შავ შლიაპიანი და მუქ წითელ წამოსასხამში გამოწყობილი უცნობი კაცი და რევოლვერი ესროლა. ტყვიამ ოდნავ კისერი გაუკაწრა გუბერნატორს. ხმაზე იქით-აქედან ხალხი მოსცვივდა. პირველათ ბოროტ-გამზრახველს ხელი სტაცა თეატრის კაპელდინერმა; მახლობლათ მდგარი პოლიცმეისტერიც მივარდა. ამ დროს მეორეთ გავარდა რევოლვერი, მაგრამ ტყვია არავის არ მოხვედრია. უცნობი კაცი წააქცევს; ცდილობდენ რევოლვერის წართმევას. ბოროტ-გამზრახველი შუა ტანის კაცია, წვერ-მოპარსული, როგორც ეტყობა, ძალიან ღონიერი, რადგანაც ძლივს შეიმაგრეს. ამ ბრძოლის დროს ორჯერ კიდევ გავარდა რევოლვერი, ერთი ტყვიით დაიჭრა პოლიცმეისტერი, რომელიც გუბერნატორისა და ბოროტ-გამზრახველის შუა ჩადგა. ტყვია პოლიცმეისტერს მარცხენა ფეხში მოხვდა, მუხლს ზემოთ. ბეზსონოვმა დაჭრილ მუხლზე იტაცა ხელი; დაჭრილი მაშინვე პავილიონში წაიყვანეს, სადაც შემწეობა აღმოუჩინეს თეატრში მყოფმა ექიმებმა ტერ-მიქაელიანცმა, კნაბემ, ალექსეევმა და სვიატოგორ-შტეპინმა.

ბოროტ-მომქმედმა, როდესაც რევოლვერი წაართვეს, თქვა, ის ტყვია, რომლითაც პოლიცმეისტერი დაიჭრა, მოწამლულიაო.

ჭრილობის შეხვევის შემდეგ პოლიცმეისტერი სამკურნალოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა დაწვრილებით გაშინჯეს ჭრილობა. ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მეორე ტყვია ფარაჯაში მოხვედრია პოლიცმეისტერს. რევოლვერი ათ ტყვიანი იყო, ახალი კონსტრუქციისა.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, როგორც შევიტყვეთ, შუამდგომლობა აღუძრავს თფილისში ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დაარსების შესახებ.

ამავე ოლქის მზრუნველს უთხოვნია სამინისტროსათვის, თუ თფილისში მეოთხე გიმნაზია არ დაარსდა, სამინისტრომ დახმარება გაუწიოს თფილისში უკვე არსებულ საზოგადო გა-

ნათლების კურსებს ყოველ წლივ 4000 მანეთი და იქ სწავლა დამთავრებულთ ზოგიერთი უფლებანი მიანიჭოს.

საერო განათლების სამინისტროს ლაპარაკი აღუძრავს სოჭაში ვაჟთა სრულ გიმნაზიის დაარსების შესახებ. ამ აზრს თანაგრძნობით მიგებებია კავკასიის სამოსწავლო ოლქიც.

იმ მუშათა საქმეს, რომელთაც ბათუმის არეულობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ, ქუთაისის ოლქის სასამართლო, როგორც „ნოვ. ობოზ."-ს ატყობინებენ, განიხილავს ქუთაისში და არა ბათუმში. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, ეს საქმე ხალხის დაუსწრებლათ გაირჩევა. ზოგიერთ ბრალდებულთ თავიანთ დამცველებათ უკვე მიუწვევიათ ნაფიცი ვექილი მ. ა. ქიქოძე და მ. გ. ფალავა. ამბობენ, ამ საქმის გამო პეტერბურგელი ვექილი ნ. პ. კარაბჩევსკიც დაიბარესო.

ამ სამოსწავლო წლიდან არსდება ჩვენი ქალებისათვის პირველ-დაწყებითი სკოლა ყაზბეგის სახელობაზე. ეს კეთილი საქმე დიდი ხანია ყველას საწადელს შეადგენდა, მაგრამ გარემოება ხელს არ უწყობდა საქმის მოგვარებას. ეხლა სკოლა არსდება ვერაზე, ყაზბეგის ქუჩის თავში, სადაც უფრო ღარიბი ქართველობა ცხოვრობს. ამ სკოლაში მიიღებენ შვიდ-რვა წლის ბავშვებს, სულ უცოდინარებს. სწავლის ფასიც მეტათ მცირეა, წელიწადში ექვსი მანეთი. ღარიბებისათვის სტიპენდიები იქნება. გამოჩნდა ოცდა ხუთამდის ისეთი კაცი. რომელთაც იკისრეს ექვს-ექვსი მანეთის შემოტანა. ამ ფულით გამოიზრდებიან ღარიბნი. ჩვენი ქალები თავ-გამოდებით ცდილობენ ამ საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას და მადლობით მიიღებენ შემოწირულებას.

მოგვივიდა კატალოგი ნამყნევ ხეხილისა, რომლის გაყიდვასაც აპირობს ამ შემოდგომაზე თფ. საბოტანიკო ბაღი. კატალოგს წინ უძღვის პატარა წერილი იმის შესახებ, თუ რა პირობით შეიძლება ხეხილის გაყიდვა და გაგზავნა სადმე შორს; აგრეთვე მცირე დარიგება, როგორ უნდა დაირგას ანუ ჩაიყაროს ხეხილი. თითო ნერგი ერთი წლისა გაიყიდება 5—30 კ. იმის მიხედვით, თუ რა ხეხილია და რა ჯურისა.

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა შეატყობინა კავკასიაში თავის რწმუნებულს, რომ მან საჭირო თანხა გადასდო ბარონის ფონ-როზენბერგის მიერ მოგონილ სეტყვის ზარბაზნის შესაძენათ კავკასიისათვის; მხოლოთ იმ პირობით, რომ იგი უნდა გამოიცადოს მომავალ 15 სექტემბრისათვის სამეურნეო გამოფენაზე ეკატერინოდარში. კავკასიაში მინისტრის რწმუნებული მოვალეა აგრეთვე მისი ხმარება სხვა გამოფენებზედაც ჩვენს ხალხსა. მინისტრს უკვე მოუხდენია განკარგულება ალექსანდროვსკის ფოლადის გადასადნობ ქარხნებში ამ ზარბაზნის მომზადებისა და გამოგზავნისა კავკასიაში.

სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა წარუდგინა გამგეობას განსახილველათ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. ამასთანავე ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა რომ ფერშლებს ჯამაგირი მოემატოთ.

თფილისის მეორე დედათა გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 22—26 აგვისტოსათვის. მიღება თხოვნებისა 20 აგვისტოს მოისპობა. 1, 2, 3, 6 და 8 კლასში უადგილობის გამო შეგირდები არ იქნებიან მიღებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილ. სახელოსნო სასწავლებელში მოსალოდნელ-უფასოებნი დანიშნულია 26, 27 და 28 აგვისტოსათვის, თხოვნები მიღება მხოლოთ 20 აგვისტომდე.

კორესპონდენცია.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ (ქალაქის საბჭო). მიმდინარე წლის იულისის პირველ რიცხვებში ქალაქის უძრავ მამულების დასაფასებლათ საბჭომ ერჩეულ იქნა ერთი დამფასებელ-აღმასრულებელი კომისია ამ ... ვსი კაცისაგან შემდგარი და დაეთოვიდა სამ დამოკიდებულ ჯგუფად. ... თითო ჯგუფს ცალ-ცალკე უნდა ემოქმედა და შემდეგ ბერიოდულად ... მთელი კომისიის წევრთა შეერთებულ კრებისთვის—რომელშიც ... გამგეობის წევრიც მიიღებდა მონაწილეობას—წარედგინა განსახილ... ველათ და შესასწორებლათ თავისი შენიშვნები. ამ ნაირათ ზემოხსენებული კომისია—გამგეობის მიერ მიცემულ ინსტრუქციით ხელში 26 ... ლისს შეუდგა თავის მოქმედებას. მაგრამ მალე შეჩერებულ იქ... ერთის მხრით, ცალკე ჯგუფების წევრთა სიმცირის გამო და მეორეს—გუბერნატორის მიერ მთავრობის წარმომადგენლათ და კომ... სიაში მონაწილეობის მისაღებათ დანიშნულ მოხელის, ბ. ზებოლ... მიზეზით, რომელმაც გუბერნატორს შემდეგი მოხსენება მიართ... „ჩვენ გვეგონა მთელი დამფასებელი კომისია ერთათ იმოქმედებ... თორემ სამ ჯგუფათ დაეთოვიდ კომისიაში ერთ და იმავე დრ... მე არ შემიძლია მონაწილეობის მიღებაზ". ამნაირათ ჯგუფს, ... მელიც ორი წევრისაგან შედგება, მოქმედება ადარ შეეძლო, რ... განაც ეოველი დაფასება სდება ხმის უმეტესობით, ჯგუფის ... თანასწორ ხმიან წევრთა შორის კი არავითარი ხმის მეტ-ნაკლებ... არ შეიძლება. ამასთანავე მთავრობის წარმომადგენელი ეველა ჯ... ფებს ვერ ხვდება. ამიტომ 3 მარიამობისთვეს მოწვეულ იქნა ... ჭოს არა ჩვეულებრივი კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქ... ქის თავის მოადგილე გამგეობის წევრი მ. გ. გვედესიანი. თ... ჯდომარემ მოახსენა კრებას, ეოველივე ის, რაც ზემოთ ვთქვეთ... თხოვა საბჭოს გამოეთქვა თავის აზრი კომისიის მოქმედების ... სახებ, ე. ი. რაგორ უნდა იმოქმედოს კომისიამ ერთათ, თუ ჯ... ფებათ, და თუ ჯგუფებათ, ა ჩეულ იქანს კიდევ სამი წევრი, რ... განაც არჩეულ ჯგუფთა ორ-ორი წევრი საკმარისი არ არის. ... თანავე საბჭოს მოახსენდა იმ ეგქსას მანეთის შესახებაც, რომელ... ჯილდოთ უნდა მიეცეთ სამ ახლათ არჩეულ კომისიის წევრთ, ... თოს ორას-ორასი მანეთი, ისე რაგორც ძველ წევრებს, რაც ... მის საწარმოებელ ჯამით ერთათ 2100 მანეთს შეადგენს. ... ორათ გაიეო. პირველი ითხოვს ისევ ერთს, მაგრამ ცხრა წევრ... კომისიის დარჩენას თავისი დამოკიდებული სამი ჯგუფით და ... ბერიოდული შესწორება „გაშალაშინება", მეორე კი სამ-სამ ... რიან დამოუკიდებელ კომისიას, თავისი თავმჯდომარით. ხმის ... ტესობით გავიდა უკანასკნელი აზრი. ე. ი. არჩეულ იქნა სამი ... მოუკიდებელი კომისია, რომელიც რასაკვირველია უფრო თავის... ლათ იმოქმედებს, ვიდრე დამოკიდებული ჯგუფები, რომელთა ... მოქმედების ბერიოდული „გაშალაშინება", „ადის გადასმა" ტ... და წელის ნაკვა იქნებოდა და საქმეს იოტის ოდენათაც ვერ და... მარებოდა. ახალი სამი წევრის არჩევაც მიიღო კრებამ. თავმჯდ... მარემ თხოვა საბჭოს დაესახელებია ის პირები, რომლებიც, მო... წოდებას მიიღებენ არსებულ დამფასებელ კომისიაში. მაგრამ კ... ბაზე არ აღმოჩდა არც ერთი მსურველი. ისე კი დასახელეს გა... შე პირები ამას და ამას სურსო, მაგრამ ნამდვილათ თანხმობა მ... ღო ერთისაგან იეო, დანარჩენ ორის სიტყვის სიმართლეში ... მათი წამომყენებელნი იყვენ დარწმუნებული, რის გამო მათი ... ჩვენები კრებამ 7 მარიამობისთვის გადადო. იმავე კრებაზე გ... ხილვენ ხმასან ინჟინერ-ტეხნიკოსის ფონ-შულცის განცხადებასა... რომელიც მან ამ დღეებში ქალაქის გამგეობას წარუდგინა და რ...

მელიც შეეხება კონტრაგენტ შიხაიდოვისაგან წყლის გაუვანას. როგორც განცხადებიდან ჩანს, მიხაიდოვი არ აკეთებს ისეთ აუზს არქიელის გორაზე (უმთავრესი აუზი), როგორც ბირობაში არის მოხსენებული, წყლის გაუვანის ტეხნიკური მხარე სრულიათ არ აკმაყოფილებს არც ბირობას და არც დღევანდელ ტეხნიკურ ცოდნა-საშუალებებს, აუზის კედლები ერთობ თხელია და სხვ. ამიტომ ხმოსანი ფონ-შულცი თხოვს კამეგობას ზედამხედველ კომისიის დანიშვნას რაც შეიძლება ადრე. ხსენებულ განცხადების შესახებ ქალაქის კამეგობა მოამავალ კრებას განსაკუთრებულ მოხსენებას წარუდგენს და კომისიასაც მაშინ აირჩევენ ჩვენი ქალაქის „მამები“. დალოცვილები, სანამ აირჩევდენ კისერს იტეხენ, ვინ იცის რა ხრიკებს არ ჩადიან, რომ როგორმე ქალაქის „მამის“ ქურქში გაეხვიონ. მაგრამ აირჩევენ თუ არა, ისინიც ქრებიან სადღაც, წყლიწადში რამდენჯერმე ნახავთ საბჭოში. განგებ ვინმე უცხო რომ ჩამოვიდეს ქუთაისში და ორ სამ-ჯერ თუ დაესწრო ჩვენ საბჭოს კრებებს, ამას იტყვის: ნუ თუ ქუთაისს 15 ხმოსნის მეტი არა ეავსო. მუდამ ერთი და იგივე ხირეები, ერთი და იგივე ხმოსნები!

Parole.

—

ᲘᲕᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ. ს. ხაშმის (თფილ. მაზრ.) მოხელეთა არჩევნები. კვირას, 28 ივლისს, დილიდანვე დაიწყო ხალხმა გროვება კანცელარიის კარებთან; ამ დღეს მოელოდენ ბოქაულს, რომელსაც უნდა მოეხდინა მამასახლისისა და სხვა მოხელეთა არჩევანი. ბოქაულის მოსვლამდის ხალხმა ბევრი იდავარაკა იმაზე, რომ მამასახლისს ოც თუმანზე მეტს ვერ მისცემდენ და ამასთანავე ეოველივე ხარჯები უნდა ეკისრნა მამასახლისს. ამას ხაშმელები იმითა ასაბუთებდენ, რომ ღარიბები ვართ და მეტს ვერ მივსცემთო, მეტი არ შეგვიძლიანო. სამამასახლისეები, ე. ი. მამასახლისობის მსურველნი ბარე რვანი თუ ათნი იყვნენ, არც ერთი ამის წინააღმდეგი არ იყო, ყველა გულის ფანცქალით მოელოდა მენდალს; იყვენ ისეთებიც, რომლებიც ოდონდ მამასახლისათ აგერჩიათ და უჯამაგიროდაც დადგებოდენ. რაო? იმიტომ, რომ მამასახლისობა კარგი „ემეა“, გემრიელი „ჩიჩიაა“, ზოგი ამბობდა ძველი მამასახლისი დავსტოვოთ, რადგანაც ის „გასუქებულია“ და ბევრს ადარას „ჩამოგვათლისო“, ზოგი კი ითხოვდა—ახლა სხვა გამოვცადოთო. სამამასახლისოებს კი უკვე დაემზადებინათ თავ-თავიანთი ამრჩევლები—ვახშმებით გამასპინძლებოდენ (სამწუხაროთ ჩვენშიაც გახშირდა ვახშმებითა და სადილებით მოსყიდვა ამოამრჩევლებისა). ძველი მამასახლისი კი ამბობდა, თუ ერთ ხმათ არ ამირჩიეს—მამასახლისათ არ დავდგებიო. სწორეთ $10^1/_4$ საათზე მოვიდა ახლათ დანიშნული ბოქაული, სართიჭალის ნაწილისა, ბ. ობოლენსკი. მოსვლისათანავე გლეხები კანცელარიიდან გამოარეკინა და განკარგულება მოახდინა—ვინც წერა იცით ფიცს ხელი მოაწერეთო. გლეხებმა იჭვით შეხედეს, მაგრამ უარი არავის განუცხადებია, ზოგი თუ აწერდა, სიის შედგენის შემდეგ ამოამრჩევლები, სულ 154 კაცი, ბოქაულის განკარგულებით შეიხმეს კანცელარიის ბატარა შენობაში, ამის შემდეგ ბოქაულმა ურჩია ხალხს აერჩიათ მამასასლისათ დირსეული კაცი. ხალხი ადავარაკდა ყველა თავისას გაიძახოდა. მამასახლისობაზე დაასახელეს ოთხი კანდიტატი და რამდენიმე მსაჯული. შემდეგ ბოქაულმა უთხრა ხალხს, რომ თუ მამასახლისს ჯამაგირი არა აქვს, უეჭველათ უნდა დაუნიშნოთო. ხალხმა უთხრა ოც თუმანზე მეტს ვერ მივსცემთო, მაგრამ, რადგანაც ბოქაულმა გაიგო, რომ მამასახლისს სამასპინძლოთი 32 თუმანი ქონდა,—ამიტომ იგივე დაუტოვა.

თითქმის სამი საათი იყვნენ გლეხები შიგნით სულ-შეხუთულ ოთახში. ბოლოს როგორც იყო გარეთ გამოუშვა, სადაც დაიწყო „ჭენჭის ურა“. ბოქაულმა ამოიკითხა ერთი კანდიდატის გვარი და დაიძახა: ვისაც ეს გინდათ მამასახლისათ,—აქეთ გადმოდითო. ხალხმა ერთმანეთს შეხედა; ჯერ ერთი-ორი გადვიდა და მერე ერთმანეთს მიეკვნენ. ახლა მეორის გვარი ამოიკითხა, იმის მხარეზედაც გადვიდენ, (თუმცა ცოტა ნაკლები); დასასხელა მესამე—იმისკენაც გადავიდენ. აქ კი მოხდა ერთი სასაცილო და სამწუხარო ამბავი: როდესაც რამდენიმე კლეხი გადვიდა მეორე მხარეს, ერთ-ერთი კანდიდატი ერთ გლეხს წაეკიდა და მერე ბოქაულს - მითხოთ — ეს-არ უშვებს, რომ მე ამირჩიონ, ჩემს ამომრჩევლებს უკან - აუყენოთ.

არჩევნები გათავდა, მაგრამ ერთი კლეხი ჩიოდა—ამბ №-რი, რა სამსაჯულო კაცია, ლოთი და მიდგომით მომქმედია? — მერე რათ აირჩიე მეოქი?—როგორ თუ რათა?—ეეეი, იქნება შენ ვერ დაინახე, რო სამამასახლისე და სამსაჯულო ხალხი თავლებში გვიეურებდენ, თან თვალს გვიშობოდენ—ჩემსკენ გადმოდიო. ვხედავდი, სხვები გადადიოდენ და მე რო არ გადავსულიყავი, მერე სადა ვიცხოვრებდიო. და ამიტომაცაა, რომ ხალხი ახლანდელის არჩევნებით კმაყოფილი არ არის...

ხაშმელი სოსიკა.

—

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. მგონია მკითხველისათვის საკარაა, რამდენათ დაკავშირებულია ხალხში თვითცნობიერების გაღვიძება ბიბლიოთეკასთან. მე იმას ადარ მოვუვები, თუ რამდენათ გათავლისწინებული ქონდათ ძველ ბიბლიოთეკის კამეგების ეს საამბანო ჭეშმარიტება და რამდენათ სინდისიერათ ემსახურებოდენ ისინი ამ სიმპატიურ საქმეს, ამას შემდეგ დაპარაკი მეტი იქნება, რადგანაც ეხლაც და წინათაც ვინც თვალ ყურს ადევნებს ჩვენ ყურნალ-გაზეთებს, აშკარათ დაინახავდა, თუ რა გულგრილობას იჩენდენ ძველი კამეგები ბიბლიოთეკის გაუმჯობესობაში. ეჰ, რაც მოხთა მოხთა, იმ ერთი ქიზიყელისა არ იყოს. მხოლოთ ეხლა ჩემი ყურადღება მინდა მივაქციო ახალ კამეგობის მომავალ მოდვაწეობას. მე თვითონ, ამ სტრიქონების დამწერი, ამ ერთი წლის წინათ ვიყავი ბიბლიოთეკის კამეგეთ თელავში თითქმის სამ თვეს, ამ ხნის განმავლობაში თვალყურს ვადევნებდი მკითხველ საზოგადოებას და ჩემდა საუბედუროთ უნდა ვადგინარო, რომ მდაბიო ხალხი, ესე იგი ხელოსნები, ნოქრები, წვრილი მოვაჭრენი, რომელნიც წარმოადგენენ მცხოვრებთა უმრავლესობას, ძალიან ნაკლებათ ეტანება ბიბლიოთეკას. თუ ახალ კამეგობას სურს, რომ მეტი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუროს ხალხში, აი სწორეთ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება. თელავის მოხელეებს ისედაც ბევრი ხელ შემწეობი პირობები აქვთ, რომ დაიკმაყოფილონ ყურნალ-გაზეთების კითხვის სურვილი, როგორც მაგალითათ თელავის საზოგადო კლუბის დარბაზი, სადაც ადგილობრივ ყურნალ-გაზეთებს გარდა ზოგი სატარტო გაზეთებიც მოიპოვება, ისე ხალხს კი ბიბლიოთეკის გარდა სხვა საშუალება არა აქვს დაიკმაყოფილოს ყურნალ-გაზეთების კითხვის სურვილი. რამდენათ უკან ვართ ჩამორჩენილები თელაველები და საზოგადოთ კახელები, დასავლეთ საქართველოზე, სადაც კარგა ხანია ხალხში თვითცნობიერებამ იჩინა თავი, ეს უველამ კარგათ უწყის. მიზეზი იმისა თუ რათ ეტანება ბიბლიოთეკას ასე ნაკლებათ ხალხი, ჩემი აზრით სხვათა შორის ის არის, რომ ბიბლიოთეკაში ძალიან ნაკლებათ მოიპოვება იმისთანა წიგნები, რომელიც ხალხის სულსა და გულს ემსახურებოდეს, რომელიც გაადვიძებს მის თვით ცნობიერებას. ქართულ ენაზე ისედაც ცოტაა გამოსადეგი წიგნები, მარა რაც მოგვეპოვება, ისინი მაინც აუცილებლათ უნდა შევიძინოთ ბიბლიოთეკებისათვის. საჭიროა ახალმა მამეგობამ, გასწოროს წინანდელი შეცდომა და საზოგადოთ მეტის გატაცებით და გულწრფელობით ემსახუროს თავის საქმეს.

ნიკო ბერეკეიანი

—

დ. ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. როგორც იცის მკითხველმა, გურიის ყველა სოფლებში არსებობს სამკითხველოები, მაგრამ არც ერთს ამ სამკითხველოთა შორის დღემდე ისეთი წესრიგი არსებობის არ ქონია, როგ ორც ლანჩხუთის სამკითხველოს. ეს გახდათ წიგნების სავაჭრო მაღაზია, რომელიც ჩვენმა სამკითხველომ შეიძინა ამ ოთხი წლის წინეთ და მით მოიპოვა სამუდამო დაუშვრეტელი წესრიგი თვისი არსებობისა. ეს მაღაზია ეოველ წელს იმდენ მოსაგებს იძლეოდა, რომ საკით-

ხველოს ეოველივე ხარჯებს ახწორებდა და კიდევ მოგებიდან რამდენიმე თუმანი ძირითად თანხას ემატებოდა. ვინ წარმოიდგენდა, თუ ასეთ მდგომარეობაში ჩვენ სამკითხველოს ოდესმე ფეხი გამოეშვებოდა, მაგრამ წარსულ წელის მოუსავლობამ მის კარებთანაც კი ჩამოიარა და თან გაიყოლა, რომ განისვენოს „შუამავლთან“ ერთათ, ჭეიშვილის საფანეში...

წარსულ წელში საზოგადო კრებამ მართველთ აირჩია ადგილობრივ შეკოლის ზედამხედველი ბ-ნი კირილე დაზარეს ძე წილოსანი, რომელმაც ჩაიბარა მისი წინა მოადგილიდან ნადდ ფულთ 401 მან. 91 კაპ., სავაჭრო სქოლელი 149 მ. 33 კ. გრ. ურატაძისგან 18 მ. 9 კ. სულ 569 მან. 33 კაპ.

დღეს, როცა ერთი წელიწადი უკვე გავიდა, სარეგიზიო კომისიამ შეამოწმა ანგარიშები და ადმოჩნდა: წლის განმავლობაში ბ. კ. წილოსანს მადზიიდან გაუტანია ნავაჭრი სქოლელისგან შემოსული 797 მან. და 93 კაპ.*) ძველი წლის გაზეთების გაყიდვიდან 6 მან. 70 კ. გრ. ურატაძისგან აუღია 9 მ. ამას რომ მიუმატოთ ის 401 მან. და 91 კ. რომელიც ბ. კირ. წილოსანმა ნადდათ ჩაიბარა თავიდანვე.—შედგება მის მიერ მიღებული 1215 მან. ამავე დროს დაუხარჯავს: სავაჭრო სქოლელი 575 მ. და 32 კ. მიწა, სამკითხველოს შენობის ასაგებათ 130 მ. მსახურინ ჯამაგირი 60 მ., ჟურნალ გაზეთების დასაკვეთი 46 მ. 10 კ., სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯები 34 მ. და 2 კ., სულ 845 მ. 44 კაპ. დახარჯულის გამოკლებით ნადდ ფულთ რჩება დღეს ბ-ნ კირილე წილოსანის ხელში 369 მ. 57 კ.

ეს ანგარიში სარეგიზიო კომისიამ წარუდგინა საზოგადო კრებას, რომელიც მოხთა წარსულ ივლისის 10 რიცხვს. თუმცა კრების მომეტებული ნაწილი დიდი უკმაყოფილო იყო იმისი, რომ ამ წელში მოსაგები არაფერი დარჩა სამკითხველოსო, მაგრამ ანგარიში მაინც დამტკიცა. ბ. კირ. წილოსანიც თანახმა იყო ამ ანგარიშის დამტკიცების და ერთი ხმაც არ დაუძრავს საწინააღმდეგო.

ამავე დღეს კრებაზე კითხვა აღიძრა იმ 29 მანეთზე, რომელიც აგერ ორი წელიწადია ბ. ნ. მხეიძეზე ითვლება ვალათ და დღემდე ვერ გაუნაღდებია სამკითხველოსთვინ. ბ. ნ. მხეიძემ განაცხადა: „მართალია ეგ ფულები ჩემზე ითვლება მას შემდეგ, როცა მე სამკითხველოს მართველთ ვიყავი, მაგრამ გრ. ურატაძის წაღებულია, როცა ჩემთან ერთად სამკითხველოს გამგეთ იყო და თ ის უარს იტყვის ამაზე, მე მზათა ვარ ამავე წუთში გადავიხადოო“. უ გრ. ურატაძემ სცნო თავისი თავი ვალდებულათ ამ ფულებში და ითხოვა ნ. მხეიძის განთავისუფლება და ვალის თავის სახელზე გადატანა, რისიც გადახთა კრებას შეხირდა ერთ თვეში, მაგრამ კრებამ მოსთხოვა. ნ. მხეიძემ იკისრა ურატაძის თავდებობა 29 მანეთში, რაზედაც კრებამ ბ. მხეიძეს უდრმესი მადლობა გამოუცხადა.

შემდეგ ჯერი მიდგა 18 მანეთზე, რომელიც ამავე გრ. ურატაძეს წაუღია სამკითხველოდან ამ ორი წლის წინეთ. აქედან 9 მანათი გადუხდია კრების წინა დღეებში; ხოლო მეორე ცხრა მანათის შესახებ ურატაძემ განაცხადა: „წარმოდგენის ბიღეოები გავეცი ნისიათ და იქიდან დამედვა ვალადო, რაისიც ხატივება ითხოვა კრებისაგან. მოითხოვა აგრეთვე გადახდილი ცხრა მანათის უკანვე დაბრუნება შემდეგის მოსაზრებით: როცა სამკითხველოს გამგეთ ვიყავი, მართველი კ. იმნაძე წიგნების მოსაპარავთ მგზავნიდა ქუთაისიში და გზის ხარჯებს არ მაძლევდა ბ. კ. იმნაძემ იქვე უპასუხა: როცა სამკითხველოს საქმეზე გამიგზავნია ურატაძე ჩემ მართველობის დროს, ხარჯებიც მიმიცია და ეგ ფულები საკუთარ თავის საქმეზე აქვს ურატაძეს წაღებული და მოხმარებულიო. კრებამ ამ სიტყვის შემდეგ გადახდილ ცხრა მანათის შესახებ კამათი მოსპო.

*) დავთარში შემოსულათ სწერია 843 მ. 50 კ. მაგრამ ბ. კირილე წილოსანმა განაცხადა „ბიჭიდან მეტი არ მიმიღია და ვერც თქვენ მომთხოვთო“. მერე ვისი დაუნებული იყო ის ბიჭი?! რა თქმა უნდა ბ. კირ. წილოსანის.

ამ კითხვის დაბოლოვების შემდეგ ის იყო არჩევანი უნდა მომხდარიყო, ახალი გამგეობის და სარეგიზიო კომისიის წევრების, რომ ბ. კირ. წილოსანმა განაცხადა: „მართალია, მე [illegible] ანგარიშზე თანხმა ვიყავი, მარა მეგონა ისევ მე [illegible] ოგვედოს მართველთ და იმიტომ არაფერი ვთქვი. დღეს, როგორც ვატყობ კრებას ჩემი გამოცვლა სურს და თუმცა თავსაც კი დავანებებ, მაგრამ არც თ'ვენ დამტკიცებულ ანგარიშების თანხმა ვიქნებიო“. კრებამ მაინც აირჩია ახალი გამგეობა, სარეგიზიო კომისიის წევრებიოურთ და მათ დაავალა ჩამორთმევა ბ. კირ. წილოსანისაგან ეოველივე ქონების, დამტკიცებულ ანგარიშების თანხმათ.

არჩეულმა პირებმა მოსთხოვეს ბ. კირ. წილოსანს ანგარიშების ჩაბარება, მაგრამ უარი განაცხადა. „ისევ იანგარიშეთ, მაგდენის გადახთის ვალდებული არა ვარო“. მოახდინეს ისევ ანგარიში და თ არ მოუმატა, არც არაფერი მოაკლდა. მაშინ თქვა: „ერთ კვირაში ჩაბარებთო“. გავიდა ერთი კვირა, მოსთხოვეს და „კიდევ იანგარიშეთო“. იანგარიშეს, იგივე დარჩა. მაშინ თქვა: „ბიჭმა დამბინია და ორი თუმანი მაპატივეთო“. მოახდინეს 21 ივლის კრებ და კრებამ 19 მანათი აპატივა და დანარჩენ 350 მანათის გადახდ ბ. კირ. წილოსანს დაავალა ერთ კვირაში. გავიდა ერთი კვირ 10—15 დღე და ეხლა ამბობს „ხუთი თუმანი მაპატივეთო“. ადა იცის კაცმა, რამდენის ხატივებას თხოულობს! ცხრა თუმანი უკვ აპატივეს და დღეს კიდევ ხუთ თუმანს თხოულობს.—შესაძლებ დია, როცა ამას აპატივებენ,—(ორი კაცის შეშწეობით!) შემდ მთელის ხატივებს მოითხოვს. აქვე უნდა დუმატოთ, რომ სამკ თხველოს ეოლია მოდარე, მაგრამ ბ. კ. წილოსანს მისთვის ერ კაპეიკიც არ მიუბარებია შესანახათ, და მხოლოთ სახელათ ეოფი მოდარე არჩეული!

ამ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სამკითხველო.

ი. გოგიჩაიშვილი.

დ. ზესტაფონი. წელს ჩვენს დაბას წინ-მსვლელობა ეტუ ბა. სამოქალაქო სასწავლებელი და თეატრი გვიკეთდება. (უკანა ნელის შენობა უკვე დაწეებულია და მალე დამთავრდება). ეს ო დაწესებულება კარგი შევიძინეთ წელს ზესტაფონლებმა და აგრე იმედია შემდეგშიაც ვიზრუნებთ იმაზე, რაც დღეს გვაკლია. დ აქ თუმცა არსებობს წიგნთ-საცავ-სამკითხველო, მაგრამ ერთი წ ხალხისათვის ეს სრულებით გამოუსადეგარი არის და ეს ერთი წ ბა ხალხი კი არის აქაური მუშა, ქარგალი და ნოქარი. ამ ხალ უმეტესობამ სრულებითაც არ იცის, თუ ზესტაფონში სამკითხვე არსებობს და ან რის მაქნისია იგი. უმცირესობამ კიდეც რომ იც დეს და სურვილიც ქონდეს, შევიდეს და ორიოდე სტრიქონი წ კითხოს და გაიგოს რამე, მას მაინც მიცალება არა აქვს როგო საქმის დღეს, ისე კვირა-უქმე დღეს. რასაკვირველია, კვირა-უქმე დ საც უჩენენ საქმეს მათი უფროსები (ე. ი. ხაზინიენები), რომ ო ანთ ბინას ვერ მოშორდენ, ნოქარია იგი თუ შეგირდი მუდამ რებში უნდა იდგეს და გამუდამ-გამოშველს უნდა უძახდეს: მოხ ძანდით, რას ინებებთო. მათთვის ერთი საათი თავისუფალი დ არ არსებობს, რომ ამოისუნთქონ სადმე სუფთა ჰაერზე. ამნაირ ეს ჩვენი წიგნთ-საცავ-სამკითხველო ჯერ-ჯერობით ვერაფერთარ სა გებლობას ვერ მოუტანს ამ ერთ წეებს ხალხს, რომელისთვისაც უ რო საჭიროა. დროა, დრო, როგორც სხვა დაბა-ქალაქებში, ი ჩვენ დაბაშიაც მოედოს ბოლო ამისთანა უსამართლობას და კვი დღეობით მაინც მიეცეთ ნოქრებს სამი საათი თავისუფლება. თუ ცა აქ შემოიდეს ამ მოკლე დროში დუქნების დახურვა დილის ცხ საათიდან თორმეტ საათამდის (ე. ი. წირვის გამოსვლამდის), მა რამ არც ეს იქნა აღსრულებული. ორს რომ დახურული აქვს კარ ბი, ოცდაათს მაშინ დია აქვს ცალი კარი მაინც და კიდევაც ვ რობს. კარგი იქნება, უფრო მეტ ეურადღებას მიაქცევდეს, ვისკან ჯერარს ამ გარემოებას.

სინამდვილე.

საზღვარგარეთ.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐ. Fremclenblat იტყობინება, რომ მაკედონიის ცენტრალურმა კომიტეტმა წარუდგინა დიდ სახელმწიფოების წარმომადგენლებს სოფიაში მემორანდუმი, სადაც აღნიშნულა ამ უკანასკნელ ხუთ წელში ოსმალთა მთავრობის მიერ ჩადენილი შეცდომები, აგრეთვე ჩამოთვლილია მაკედონიისთვის საჭირო რეფორმების ძირითადი მუხლები: სოლუნის, მონასტირის და უსკიუბის ვილაიეტებისგან ავტონომიური ბრაგინტიის შედგენა: გუბერნატორის დანიშვნა, რომელიც უნდა ირჩეოდეს ბრაგინტიის ნაციონალურ უმეტესობისგან ხუთი წლით; ოფიციალურათ ცნობა უფლებისა ოსმალურ და ადგილობრივ ენებისა; ნაციონალურ ჟანდარმერიის ორგანიზაცია; სამეცადინო სასამართლოების საზოგადოებისთვის გადაცემა; ოსმალთა მთავრობის სასარგებლოთ ბრაგინტიის უკელა შემოსავლის მეოთხედის გადადება. მემორანდუმი მოითხოვს, რეფორმების შემოდების დაჩქარებას, რადგან მაკედონიაში ძალიერი მდგომარეობაა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. რომ გამოაცხადონ თავისი უმაღლესობა ირლანდიაში დღეს არსებულ რეჟიმის გამო, ნაციონალისტ-დეპუტატებმა გადაწყვიტეს დემონსტრატიულათ არ მიიღონ მონაწილეობა გვირგვინის კურთხევის დღესასწაულში. ამ მიზნით ირლანდიის ბარტიის ლიდერმა მოიწვია სულ უკელა ირლანდიელი დეპუტატები, რომ გამოცხადდენ ბარტიის საზოგადო კრებაზე, დუბლინში, შაბათს, ათ საათსე, ესე იგი სწორეთ იმ დღეს და იმ საათზე, როცა უნდა მოხდეს ვესტმინისტერის საბატონოში მეფის გვირგვინინ კურთხევა..

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. ამას წინეთ იტალიასა და შვეიცარიას შორის ჩამოვარდა დიპლომატიური განხეთქილება. შვეიცარიის ერთ ანარქიულ გაზეთში ცუდათ იყო მოხსენებული იტალიის განსვენებული მეფე. იტალიის წარმომადგენელმა მოთხოვა შვეიცარიას მიეცა სამართალში ანარქიული გაზეთი იტალიის მეფის სახელის ცუდათ ხსენებისთვის. ამაზე შვეიცარიის მთავრობამ უპასუხა: იჩივლეთ და მაშინ საქმეს გავარჩევთო. ხოლო იტალიის წარმომადგენელი არ დათანხმდა, ჩემდა უთხოვნელათ ადარით საქმეო. ამან გამოიწვია განხეთქილება. ახლა ეს დიპლომატიური განხეთქილება მოსპეს, ამიგამო ზოგიერთი იტალიის გაზეთები წერდნენ, სანამ იტალია გასახლებდა დიპლომატიურ მიმოსვლას შვეიცარიასთან, მანამდის გერმანიის დახმარებით ფორმალური დაპირება მიიღო შვეიცარიისგან, რომ თუ კიდევ გამეორდება შვეიცარიის გაზეთში იტალიის დაწესებულებათა და სამეფო გვარეულობის წარმომადგენელთა ძაგება, იმ შემთვევაში დამნაშავე გაზეთებს სამართალში მიგეცემოო. შვეიცარიის გაზეთები ერთხმივ ეარეოფენ ამ ხმებს. Journal de Genéve განმარტავს, რომ ფედერატიულ საბჭოს არ შეუძლია თავის ნებით მწერლობის შესახები კანონის შეცვლა, აგრეთვე არ შეუძლია არც წერილობით არც სიტყვიერი ბრძანების მიცემა, რომ ამ კანონებს გადაიხედავს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ქ. მარსელის მუნიციპალურ არჩევნებზე გავიდა ანტიკოლექტივისტ რესპუბლიკელების სია და ქალაქის თავათ აირჩიეს მათი წარმომადგენელი იყო სოციალისტ ფელესიერის მაგიერ, რომელიც აგერ ათი წელიწადია ქალაქის თავათ. ფელესიერის დამარცხების მიზეზი ისაა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ მისი ბოლიტიკა, რომლითაც ის მუშებს ექომაგებოდა, უმეტესათ მაინც გაფიცვის დროს, მიაჩნიათ იმის მიზეზათ, რომ ამ ბოლო დროს მარსელის მნიშვნელობა თან და თან ეცემა ვაჭრობაში, ხოლო მისი მეტოქე გენუა თანდათან ძალიერდება.

— უკანასკნელათ რესპუბლიკის ბრეზიდენტმა მოაწერა ხელი 325 კონგრეგაციული დაწესებულების დახურვის დეკრეტს. ეს დაწესებულებები განაწილებულია 32 დეპარტამენტში. 29 დეპარტამენტში დეკრეტი უკვე მოიყვანეს სისრულეში. დარჩა სამი დეპარტამენტი Cotes-du-Nord, მორბიგანი და ფინისტერი. ბრეტანიში დასახურავი იყო სულ ორი შკოლა, მორბიგანში—ოთხი. ბოლიციის მოხელეებმა ზოგიერთ ადგილს მოსალოდნელი წინააღმდეგობის ასაცდენათ გაიყოლიეს თითო რაზმი ჯარი. კემპელში შკოლის კარები ჩამოანგრიეს დურგლის შემწეობით. შემდეგ კომისარმა გაანაცვლა მონაზონების დეკრეტი და დაბეჭდა შენობა.

— რადგან ბევრ ადგილას ბეჭედი მოგლეჯეს [illegible] ბეჭედების კარებს, ამიტომ იუსტიციის მინისტრმა [illegible] ბელმა, რომ ეველა იმ შემთხვევებში, როცა შენობებს მოაგლეჯენ ბეჭედს, ან რამე სხვა ნაირათ დაარღვევენ კონგრეგაციების საწინააღმდეგო კანონს იმ შემთხვევაში, მათ მიიღონ სასტიკი ზომები დამნაშავეთა წინააღმდეგ. კანონის დარღვევა კი მეტათ გახშირდა. ასე, მაგალითათ, სენატორმა შამალირმა და საბჭოს წევრმა სერინიმ მოგლეჯეს ბეჭდები კემპინში სამ შკოლას. ლა-რავუარში იგივე ჩაიდინა აკადემიკოსმა კოსტა დებორეკარმა. მონბონოში ადგილობრივმა ქალაქის თავმა ორჯერ აგლეჯა ბეჭედი. სხვა ადგილებში იგივე ჩაიდინეს უცნობმა პირებმა. ასეთ საქციელს კანონი სჯის ექვსი თვიდან ორ წლამდე დაპატიმრებით.

— ბევრმა კონგრეგაციებმა თვისი შკოლები გადაიტანეს კერძო პირების სახელზე. ეს შკოლებიც დახურა მთავრობამ, მაგრამ კერძო პირებმა, რომელნიც ფორმალურათ მესაკუთრენი არიან ამ შკოლების, გადაწყვიტეს სახელმწიფო საბჭოში შეიტანონ საჩივარი.

— მინისტრ-პრეზიდენტს კომბს გაბედული ბრძოლისათვის კონგერგაციებთან მოდის აუარებელი თანაგრძნობის ადრესები სოფრანგეთის ყოველ კუთხიდან.

— კვირას პარიზის სოციალისტურმა წრეებმა შეთანხმების მოდანზე გამართეს ანტიკლერიკალური მანიფესტაცია; მანიფესტაცია ძალიერი არ ეოფილა, რადგან ბოლიცია ფიცხლავ ფანტავდა იმ ჯგუფებს, რომელთაც განიძრახეს ელისეს მინდვრებისაკენ გასვლა. კერიკალების კონტრ-მანიფესტაცია კიდევ უფრო სუსტი იყო. სულ დაატუსაღეს 15 კაცი, რომელნიც მაშინვე გაანთავისუფლეს.

— ბევრი კონგერგაციების შკოლების დახურვის მოწინააღმდეგენი თავის აზრს იმით ასაბუთებენენ, რომ დახურულ შკოლების მოწაფეებისათვის არ იქნება საკმარისი ადგილი არსებულ საზოგადო შკოლებში, ახალი შკოლების მოწყობა კი საზოგადოებას მეტათ ძვირათ დაუჯდება. ამ აზრს იცავდა მაგ., პარიზის მუნიციპალიტეტის საბჭოს თავმჯდომარე კომბთან საუბარში. ახლა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური შენიშვნა, რომელიც სრულიათ არღვევს ამ აზრს პარიზის შესახებ. პარიზში სულ დაიხურა 15 შკოლა, სადაც სწავლობდა 3, 247 მოწაფე. იმათთვინ სწავლის დაწყების დროს ადმინისტრაციას ექნება 4, 825 თავისუფალი ვაკანსია საზოგადოებრივ შკოლებში. პარიზის ახლო ადგილებშიც კარგათაა საქმე. 11 საზოგადოებაში დაიხურა 13 კონგრეგაციული შკოლა; ეველა ამ შკოლების მოწაფეთათვის ადგილები დამზადებულია საზოგადოების შკოლებში.

რუსეთის ცხოვრება.

რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის ხელშემწყობ საზოგადოებამ ამოირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ეოველ მხრივ უნდა შეისწავლოს სიბერის დროს მუშების დაზღვევის საქმის მოწყობა რუსეთში. საზოგადოების აზრით სიბერის დროს მუშების დაზღვევის საქმის მოწყობა რუსეთში როგორც ესაა მოწყობილი ახალ ზელანდიაში, ნორვეგიაში, ავსტრიაში და გერმანიაში, უმჯობესათ კარგი გავლენა ექნება მუშების როგორც ზნეობრივ ისე მატერიალურ მდგომარეობაზე. ხსენებულმა საზოგადოებამ მიმართა სხვა სამეცნიერო საზოგადოებათ წინადადებით, რომ მათაც გამოგზავნონ წარმომადგენლები კომისიაში.

— საქარხნო და მთამადნის საქმეების უმთავრესმა კომეტამ გადაწყვიტა შემდეგი განკარგულების გამოცემა: მუ-92 და მუ-137 მუხლების ძალით მუშების გასასტუმრებელ წიგნში უნდა იყოს აღნიშნული დაგირავების სულ ეველა პირობები. ამიტომ ხელწერილის მოქმედების დროს თუ ორივე მხარის შეთანხმებით რაიმე ცვლილება მოხდება პირობებში, რომელიც შეეხება ხელფას და იწვევს ან მის გადიდებას ან შემცირებას, ეს ცვლილება დაუყონებლივ უნდა აღინიშნოს ხელწერილში.

— კანონთა დებულებაში დაბეჭდილია: ხელმწიფე იმპერატორმა მინისტრთა კომიტეტის გადწყვეტილების თანახმათ უმაღლესათ ბრძანა: 1) აღიკრძალოს რუსეთში შემოტანა სულ ყველა იმ აქციების, ობლიგაციების და სხვა ფასიან ქაღალდების, რომელნიც გამოშვებულია საზღვარ-გარეთ კერძო საზოგადოებათა და დაწესებულებების მიერ, თუ იმათი დაბინავება რუსეთში ფინანსთა და გარეშე საქმეთა მინისტრების მიერ იქნება აღიარებული სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგათ.

— მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან მოეოლებული პირველ ივლისამდე პეტერბურგის სამოქალაქო სანენზურო კომიტეტმა ბერიოდულ გამოცემათა გარდა გამოუშვა პეტერბურგის ტიპოგრაფიებში 1,808 სახელის წიგნი 8,919,970 ეგზემპლიარათ. ამ ჯამიდან გოგოლის თხზულებები გამოსულა 1,004,000 ეგზემპლიარათ. თანამედროვე მწერლებიდან ვერესაევის „Записки врача“ დაბეჭდილა 40,000 ეგზ., გორკის „Мѣщане“ 35000 ეგზ.

— კუშკის შტოზე იჯარადარი გუცევიჩის მუშებმა, რიცხვით 400 კაცმა დაწყვეს ლინდაზე (ელსები და დასხდენ ზეთ და ამ ნაირათ გაჩერეს განგებ კუშკიდან მომავალი მატარებელი, რადგან იმათ ეგონათ, რომ იმ მატარებლით მოდიოდა იჯარადარი. ამ ადგილს დაუოხებლივ გაგზავნეს სალდათების ერთი როტა. წესიერების დარღვევის მიზეზათ მუშებმა განაცხადეს—შემშილით ვიხოტბებით, რადგან იჯარადარი არ გვისტუმრდებსო. ინჟენერმა ბაზენოვმა დაწყნარა ისინი, წაიყვანა კუშკაში, სადაც იმათ მიეცა შეძლება სანოვაგის შოვნისა. ასეთი შემთხვევები ხსენებულ რკინის გზაზე ხშირია.

— ქალის მდგომარეობა...ეს ყველასთვის ცხადია, მაგრამ იმდენათ ზნე-დაცემულ და სულმდაბალ მოპერობას არსად განიცდის ქალი, რაოგორც აღმოსავლეთ ციმბირის ოქრის მადნებში, და ამის მიზეზი იგივე ოქრის მრეწველები არიან. საზოგადოთ იქაური მუშაობის პირობები მეტათ ძნიმეა; იქ სამუშაოთ გასული უკვე დაკარგულ და დაღუპულ ადამიანთ უნდა ჩაითვალოს. მუშათა დიდი ნაწილი კატორგიდან წამოსულები და ციმბირში გადასახლებულები არიან. მათი შრომის ფასიც მეტათ მცირეა, შედარებით იმ პირობებთან, რომელშიაც ისინი მუშაობენ. ამასთან იქაური ცხოვრება სწორეთ რომ გარყვნილების ბუდეა, მაგრამ ახლა ჩვენ განსაკუთრებით ქალების მდგომარეობაზე მოვიყვანთ ორიოდე ცნობას. ოქრის მრეწველები, როგორც ყველა სხვა მრეწველი, დიდი ეკონომიის ხალხია და რადგან მათ სამუშაოებში ქალის შრომის მოთხოვნილება არ არის, ცოლ-შვილიან მუშებსაც ნაკლებათ ღებულობენ. სხვა არა იყოს რა ბინა მაინც შეიენება საჭირო მათთვის, ამაზე კი იქ ძალიან ნაკლებათ არიან. ოცდა ათ მამაკაცზე აქ მხოლოთ ერთი ქალი მოდის და აი ამით აიხსნება ის პირუტყვული შეხედულობა ქალებზე, რომელიც აქ არის გამეფებული და თვით ამ შვენიერი სქესის წარმომადგენელთა გაპირუტყვებაც. ქალები კი აქ მხოლოთ ახალგაზდა და ლამაზები მოიპოვებიან. ეს მოგალანაც მით აიხსნება, რომ მუშათა დამქირავებელი აგენტები მხედველობაში იღებენ სამრეწველოში მოსამსახურეთა „ინტერესებს“ და ცოლიან მუშას მხოლოთ მაშინ ქირაობენ თუ ქალი ლამაზია. ყოველ მუშას ეკითხებიან, ცოლიანია ის თუ არა; თუ კი,—მაშინ უბრძანებენ ქალი მოიყვანოს და აჩვენოს. ისიც მორჩილი თავისი ბედისა, მოათრევს ქალს „შესაფასებლათ“, და თუ აგენტმა მოიწონა უკანასკნელი, მხოლოთ მაშინ აიყვანს მუშას.

ადამიანი ხომ ერთი ისეთ პირუტყვთაგანია, რომელიც ყოველ გარემოებას ადვილათ ურიგდება და აი ამ ოქრის პირობებში ის იმდენათ დაცემულია, რომ ცოლის გაქირავებაც დაუწყია. არა ერთხელ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ ქმარს ცოლი დაუთმია სხვისთვის დროებით, როგორც რუსულათ ამბობენ „На подержаніе“, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, სათლავთ 2—3 თვის ვადით. ქალიც იმდენათ დაცემულია, რომ ისიც თანხმდება და ურიგდება ასეთ საზიზღრობას და ვადის შესრულების შემდეგ უბრუნდება „კანონიერ მეუღლეს“. ქალთა ზნეობის ამდენათ დაცემაში, დიდი დამნაშავეა მიუძღვის. სამრეწველოთა უფროს მოსამსახურეთ, რომელთაც ადგილობრივ „სამრეწველოს ხარმოზვრეს“ ეძახიან.

ამ სამრეწველოთა უფროსი მოსამსახურეთ [illegible] წოდებულ ქალბატონების, ცხოვრებაც სწორეთ რომ პირუტყვულია. მათ არ ჭირდებათ არავითარი შრომა თვით ოჯახისთვისაც, ყველაფერი მზამზარეული ეძლევათ და ამის გამო სხვანი მდაბალი სურვილის დამაკმაყოფილებელ იარაღებათ არიან ქცეულნი. ისინი მოკლებული არიან ეროვნულ ინტერესს, კულტურულ მოთხოვნილების და თვისი სიკეკლუცესაც. მთელ დღეს ჭორიკანობაში ატარებენ ეს, მრეწველობა მოწყალებანი მამაკაცთაგან ცოცხალი ლეშები.

ქალთა იქაური მდგომარეობის სანუგეშოთ მხოლოთ იმის თქმა შეიძლება, რომ იქ მეტათ ძვირათ ფასობს ქალი და რაკინდ გონჯი წავიდეს მოკლე ხანში ადვილათ თხოვდება. ერთი ფირმის მმართველს სულ მოკლე დროში სამი გუვერნანტკა გამოეწერა. ამათგან ორი მოსვლისათანვე გათხოვილიყვენ და ერთს კი ჯერ ასი ვერსი ჭქონოდა გასავლელი დანიშნულ ადგილამდინ, როცა მას გზაში საქმრო გამოეჩნდა და თავის მასპინძელს ამ საქმროთი გამოეცხადა..

გ ლ ა ხ ა კ ი.

ზამთრის დილაა ცივი, სასტიკი,
გაყინულია მთლათ არე-მარე,
შიშველ-ტიტველი ბუნება ჰკვნესის,
როგორც შვილ-მკვდარი დედა მწუხარე.
აგერ ქუჩაზე ფეხებშიშველი,
მეტათ გამხდარი, ჩამოკონკილი,
მიდის გლახაკი ძიგძიგ-კანკალით,
თან მწარეთ სტირის სასო-მიხდილი.
ან-კი, საბრალომ, ვით არ იტიროს,
ვით არ დაღვაროს ცრემლთ ნაკადული,
როს შიმშილისგან ეწვის, მუცელი
და სიცივისგან უთრთის სხეული?
და, აჰა, კიდეც სტირის და მოთქვამს:
„ღმერთო! რათ შემქენ მე უბედური,
და თუ შემქენი, რათ არ მომეცი
საღი ძალ-ღონე, და ლუკმა პური...
რომ ჩემის შრომით საზრდო მეპოვა,
არ ავკიდოდი მეტ ბარგათ ხალხსა,
რომელიც „მუქთა ხორას“ მიწოდებს
და ზიზღით მაწვდის ლუკმას საწყალსა?!“
და ხელგაწვდილი გამვლელ-გამომვლელს
სთხოვს მოწყალებას, თავსა აბრალებს,
მაგრამ ათასში ერთი ძლივს აძლევს,
სხვები კი ჰკიცხავს, ზიზღით შეეყურებს!.

ვ. რუხაძე.

ო რ დ ე ნ ი

(ა. ჩეხოვისა).

სამხედრო პროგიმნაზიის მასწავლებელი, კოლლეეჟსკი რეგისტრატორი ლევ პუსტიაკოვი ცხოვრებდა თავის მეგობარ პორუჩიკ ლედენცოვის გვერდით. სწორეთ მისაკენ გაემართა ის ახალწელიწადს, დილით. ჩვეულებრივი მილოცვის შემდეგ მან უთხრა პორუჩიკს: „იცი გრიშა, საქმე რაშია? სწორეთ არ შეგაწუხებდი, აუცილებელი საჭიროება რომ არ მქონოდა მათხოვე, გეთაყვა, დღეს შენი „სტანისლავი“. დღეს სადილზე ვაჭარ სპიჩკინთანა ვარ დაპატიჟებული. შენც ხომ იცი, რა ფლიდი რამ არის ის სპიჩკინი: მას საშინლათ უყვარს ორდენები და თითქმის თაველაფიანს ეძახის ყველას, ვისაც მოძე არ ეკორწიალება ყელზე ან საღილზე. და ამასთან მას ორი ქალიცა ჰყავს... ნასტია და ზინა... ამას შენ გეუბნები,

როგორც მეგობარს; ხომ გესმის ჩემი, ჩემო კარგო. მათხოვე, იმდენი სიკეთე მიყავი! ამ ლაპარაკის დროს პუსტიაკოვს ენა ებმოდა, წოთლდებოდა და თანაც გულის ცახცახით იცქირებოდა კარებისაკენ. პორუჩიკმა ერთი ლაზათიანათ შეუკურთხა, ბაგრამ დათანხმდა.

ᲗᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲡ ᲝᲠ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲞᲣᲡᲢᲘᲐᲙᲝᲕᲘ ᲔᲢᲚᲡ ᲛᲘᲐᲥᲠᲝᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲞᲘᲩᲙᲘᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲒᲐᲔᲓᲔᲚᲐ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲒᲣᲚᲖᲔ ᲥᲣᲠᲥᲘ ᲓᲐ ᲘᲪᲥᲘᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲙᲔᲠᲓᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲝᲥᲠᲝᲡᲤᲔᲠᲐᲗ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲥᲐᲠᲘᲕᲘᲗ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲜᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ „ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘ“.

„რაღაც მეტ-პატივისცემასაც გრძნობ კაცი თავისადმი!—ფიქრობდა მასწავლებელი და თანაც ოხრავდა.—ერთი ნამცეცი რამ არის, ძალიანი დიდი, ხუთ მანეთზე მეტი არა ღირს და დიდ შთაბეჭდილებას კი ახდენს.“

მიაქროლა თუ არა პუსტიაკოვმა ეტლი სპიჩკინის კარებთან, გადიღეღა გულზე ქურქი და მეუდგა მეეტლის გასტუმრებას. მეეტლე, როგორც მას ეს მოეჩვენა, კინაღამ ჭკუაზე შეცდა, იმისი პაგონები, ღილები და „სტანისლავი“ რომ დაინახა. პუსტიაკოვმა კმაყოფილებით ჩაახველა და შევიდა სადგომში. სანამ წინა ოთახში ქურქს გაიხთიდა, მან ზალაში შეიჭვრიტა. იქ გაშლილი იყო გრძელი, სასადილო სტოლი, რომელსაც შემოჯდომოდა ხუთმეტამდე კაცი და სადილობდა. ლაპარაკი და ჭურჭლის ჟღარუნი გამოდიოდა.

— ვინ არის, რომ რეკავს მანდა?—მოისმა მასპინძლის ხმა.—ვა, ლევ ნიკოლაიჩ! მობრძანდით, ცოტათი კი დაიგვიანეთ, მაგრამ არა უშავს... ესეც არი, ახლა დავსხედით. პუსტიაკოვმა გულ-მკერდი წინ გამოჭიმა, თავი მაღლა აიღო და ხელების ფშვნეტით შევიდა ზალაში. მაგრამ აქ კი ელდა ეცა: სტოლთან, ზინას გვერდით იჯდა იმისი თანამოსამსახურე, ფრანგული ენის მასწავლებელი ტრამბლიანი. დაენახვებინა ფრანგისათვის ორდენი, ეს ნიშნავდა, აუარებელი არა სასიამოვნო კითხვები გამოეწვია მისგან, სამუდამოთ შერცხვენილიყო: სახელი გასტეხოდა... უცბათ მას გაურბინა თავში აზრმა: ან მოეგლიჯა გულიდან ორდენი, ანა და უკანვე გაეკურცხლა. მაგრამ ორდენი მაგრათ იყო მიკერებული და უკან გაბრუნებაც მოუხერხებელი იყო. მან ფიცხლავ მიიფარა მარჯვენა ხელი ორდენზე, მოიკუზა წელში, მკრთალათ მისცა საერთო სალამი და მძიმეთ დაეშვა თავისუფალ სკამზე, სწორეთ თვისი თანამოსამსახურე ფრანგის პირდაპირ ისე, რომ ხელიც არავისთვის მიუცია,

„ალბათ გადაკრული იქნება!“ გაიფიქრა სპიჩკინმა, დაინახა რა მისი შემკრთალი პირისახე.

პუსტიაკოვს მიართვეს თეფშით სუპი. მან აიღო მარცხენა ხელში კოვზი, მაგრამ აქ უცბათ მოაგონდა, რომ კეთილ განწყობილ საზოგადოებაში არაა მიღებული მარცხენა ხელით საჭმლის ჭამა და განაცხადა, რომ უკვე ისადილა და არა შიან.

— მე უკვე გიახელით სადილი... გმადლობთ... წაილუღლუღა მან. ბიძა ჩემთან, დეკანოზ ელეევთან გიახელით სადარბაზოთ და ის არ მომეშვა... ის არა... აქ ისადილეთო.

პუსტიაკოვს გული უწუხდა ჯავრისა და წყენისაგან: სუპი გემრიელ სუნს იძლეოდა და ზუთხს არა ჩვეულებრივი მადის მომგვრელი ორთქლი ასდიოდა. მასწავლებელმა სინჯა განეთავისუფლებია მარჯვენა ხელი და მიეფარებინა ორდენისათვის მარცხენა, მაგრამ ეს მოუხერხებელი გამოდგა.

„შემამჩნევენ .. მთელი მკერდი ხელით მექნება დაფარული, თითქოს მღერას ვაპირებდე. ოხ ღმერთო, ნეტავი ერთი ჩქარა გათავდეს ეს სადილი! ტრაქტირში მაინც ვისადილებ“!

მესამე თავი საჭმელი რომ გაათავეს, მან გაუბედავათ ცალი თვალით გადახედა ფრანგს. ტრამბლიანიც მეტათ დარცხვენილი იყო რაღაც, უცქეროდა მას და არაფერს კი არ ჭამდა, ერთმანეთს რომ შეხედეს, ორთავეს უფრო შერცხვათ და თვალები ჩაჭყიტეს ძირს ცარიელ თეფშებში.

„შემამჩნია, ფლიდმა!—გაიფიქრა პუსტიაკოვმა.—პირის სახეზე ვატყობ, რომ შემამჩნია! საძაგელი, ნეტავ ერთ-ბორანი მაინც არ იყვეს, ხვალვე დამაბეზღებს დირექტორთან!“

მასპინძლებმა და სტუმრებმა გაათავეს მეოთხე თავი საჭმელი, შეჭამეს, შეწყვნიტა ღვთისათა, მეხუთეც...

წამოდგა ვიღაც მაღალი ტანის კაცი. მას ფართო ნესტოები გამობალნული ქონდა, ცხვირი კუზიანი და თვალები მიჭუტული ბუნებითვე. გადაისვა თავზე ხელი და ხმა მაღლა წარმოსთქვა:—ე-ე-ე... ეპ... ეპ... მე წინადადება შემომაქვს დავლიოთ სადღეგრძელო აქა მჯდომარე მანდილოსნების წარმატებისთვის! იქ მჯდომნი ხმაურობით წამოცვივდენ და აიღეს ჭიქები ხელში. დაუწყნარებელი „ურა“ გაისმა ოთახებში. მანდილოსნებს გაეღიმათ და ჭიქები ჭიქებს მიუკაკუნეს. წამოდგა პუსტიაკოვი ჭიქით მარცხენა ხელში.

ლევ ნიკოლაიჩ! გაისაჯეთ და გარდაეცით ეს ჭიქა ნასტასია ტიმოფეევნას! მიმართა მას ვიღაცა კაცმა და თანაც ჭიქა მიაწოდა.—ძალით დაალევინეთ მაგას!

ეხლა კი მეტათ შეძრწუნდა პუსტიაკოვი და იძულებული შეიქნა მარჯვენა ხელიც ეხმარა.

აქ კი „სტანისლავმა“ თვისი დაჭმუჭვნილი ლენტითურთ იხილა ქვეყნიერება და გაბრწყინდა. მასწავლებელი გაფითრდა, თავი დაბლა დაიღო და მკრთალათ გახედა ფრანგს. ეს კი გაკვირვებით უცქერდა მას, თითქოს სურს რაღაც უთხრასო მას ეშმაკური ღიმილი მოსდიოდა და მისს პირისახეს ნელანელა ეთხოვებოდა სირცხვილის გამომეტყველება...

— იული ავგუსტოვიჩ! მიმართა ფრანგს მასპინძელმა.—გადაეცით ბოთლი კუთვნილებისამებრ!

ტრამბლიანმა ყოყმანით გაუწია ხელი ბოთლის გამოსართმევათ და... ოხ ბედნიერებავ! პუსტიაკოვმა დაუნახა მას გულზე ორდენი. და მერმე „სტანისლავს“ ვინა სჩივის, ის იყო მთელი „ანნა“, ჩანს ფრანგსაც უცუღლუტებია. პუსტიაკოვს კმაყოფილებით გაეცინა, დაეშვა სკამზე და ფეხები წინ გაშლართა... ეხლა კი აღარ იყო საჭირო „სტანისლავის“ დამალვა! ორთავეს ერთი და იგივე ცოდო მიუძღოდა წინ და, მაშასადამე, არცერთს არ შეეძლო დაებეზღებინა, სახელი გაეტეხათ ერთმანეთისთვის...

— ა-ა-ა... ხმ!...—შეღმუოლა სპიჩკინმა, მასწავლებლის ორდენი რომ დაინახა.

— დიახ!—უთხრა პუსტიაკოვმა. სწორეთ საკვირველია იული ავგუსტოვიჩ! რა ცოტანი წარგვადგინეს ამ დღესასწაულებზე! რამდენი ხალხი ვართ და მარტოკა მე და თქვენ მივიღეთ! სწორეთ საკვირველია, საკვირველი! ტრამბლიანმა სიამოვნებით დააქნია თავი, და გამოწია წინ მარცხენა მკერდი, რომელზედაც მოჩანდა მესამე ხარისხის „ანნა“, სადილის შემდეგ პუსტიაკოვი დადიოდა ოთახებში და უჩვენებდა ქალებს ორდენს. სული და გული შემსუბუქებოდა და დაწყნარებოდა, თუმცა გულის კოვზთან სიმშილი კი „უცინცილებდა“.

„მე რომ ეს ამბავი მცოდნოდა—ფიქრობდა იგი, და შურის თვალებით უცქერდა ტრამბლიანს, რომელიც სპიჩკინს ემუსაიფებოდა ორდენების შესახებ, მაშინ „ვლადიმერს“ დავიკიდებდი. ეხ, ველარ მოვიფიქრე და!“

მხოლოთ ეს ერთი რამ აწუხებდა მას, თორემ სხვაფრივ ის სრულ ბედნიერებას გრძნობდა.

Andalas.

ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲢᲝᲢᲮᲐᲚ-ᲛᲙᲔᲠᲓᲡ

„მთებში კლდეთ შორის მე დავიბადე! ვითარცა ცრემლი, მოვწყდი დედის გულს, კლდისა შუაგულს და გამოვქანდი...

„ის, ის იყო განვიცადე მზის პირველი სხივი, რომელმაც მკერდში გამიარა, და თამაშობით, ბორცვიდან-ბორცვზე დავიწყე ხტომა... მოვხტოდ-მოვრბოდი, აქ ხის ფესვებს გადავურბენდი, იქ-კი ფოსოში ჩავირბენდი, ავავსებდი-რა, კვალათ ჩემის გზით მივდიოდი; აქ ყვავილთ გროვა ჩემს გულმკერდში იბანდა პირსა, მე კი იმათი სურნელებით ვნოყიერდებოდი... აქ იადონი, თავისუფალ ბუნების შვილი, ნისკარტს ჩამკრავდა, შემსვამდა და გამომძღარი ცას აშურებდა ფრთისა ფთხრიალით... იქით, შორს, ვინმე დაღლილი მგზავრი, მუხლმოკვეთილი, მეწაფებოდა, ხარბათ შემსვამდა, განიგრილებდა გულსა მწყურვალსა, წყურვილს იკლავდა და თან შვებითა მეუბნებოდა:

— ახ, წყაროვ, წყაროვ, ანკარა წყაროვ! კურთხეულ იყოს სათავე შენი! მარად რომ გსომდე, არ ოდეს ვიგრძნობ ჩემსა მკერდში ბალღამთ სიმძაფრეს“...

„სულ ქვეით კი ჩუხჩუხითა ჩამოვურბენდი ხან ერთ ბაღჩას და ხან მეორეს; განვაგრილებდი მზისგან დამჭკნარ ვარდ-ყვავილებსა და მერე ჩემივ გზითა ვიდოდი...

„ოჰ, რა კარგია, შენის მადლითა ალხენდე სხვათა, სთესდე სიკეთეს! ამაზე ტკბილი სხვა შეგრძნება არა-რა მგონია!...

„სიანკარავეს მიმკობდენ მზისა სხივები, უმანკოებას მიმოსავდენ ნაზი ყვავილნი; თითქოს ირგვლივ არე-მარე მე მმორჩილებდა: წყნარი ღამე, ქვა და მცენარე, რუკრუკს მისმენდა. მე ველთა შორის მომხტომარეს სალამს მიძღვნიდენ, თითქოს ყველანი, ჩემით მტკბარნი, ქებას მასხამდენ...

„ოჰ, რა-რიგ ვხტოდი კლდიდან-კლდეზე და რა-რიგ მსურდა ჩემის ჯანსაღი ძლიერებითა მეკურნა ქვეყნათ ჯანგატეხილნი; ოჰ, რა-რიგ მსურდა ჩემის სისწრაფვით ადამის ძეთა სულდგმულისთვისაც ჩამენერგა წინსწრაფვის გრძნობა...

„მე კი ვიდოდი, ვმდინარებდი... თურმე ბარისკენ. თან ვდიდდებოდი, ვფართოვდებოდი, უფრო დიდძალსა ხალხ-პირუტყვთა წყურვილს ვუკლავდი, უფრო დიდ ბაღებს და ნათესთა განვაგრილებდი... მაგრამ თითქოს ის მგზნებარე ძალა ძლიერი ჩემს არსებაში აღარ იყო... მოლად გამქრალიყო... მახსოვს არა ერთ გზის შემსვა ადამის ძემა და უკანვე გადმოღვარა—რა ბლადიაო...

„დიდი ხანია მთათ და კლდეთ ჩამოვშორდი, ბარზე მოვდივარ: აქ არსითა ქრის მაცოცხლებელი მთისა ჰაერი, აქ ველარ ვხვდები მთის გულღია ნაზ ვარდ-ყვავილებს; აქეთ იქიდან შიგ მერევა უსუფთაობის გამონაჟონი, ჩემი სიანკარავე აღარა სჩანს, მე კი მასში ვარ მთლად შერეული...

«ვარდ-ყვავილებს რომ მკერდსა ვბანდი, მათი სახე რომ ჩემს წინსვლაში ისახებოდა, მათი სუნი ჩემით სხვათ რომ ესხურებოდა,—ოჰ, რავდენი სიკეთე იყო და ყველა ეს თითქოს გაქრა...

«ჩუ, ყური უგდე ფოთოლთ შრიალს: არსებობასა ნათელსა ჰფენს წმინდა გული, მგზნებარე სული და თუ ეს არ გვაქვს, ლეშნი ვართ მაშინ და ლეშნი ხომ მარადის ყარან...

„სიცოცხლესა აცისკროვნებს სიწმიდისადმი ტრფიალება, მარად წინსრბოლა და თუ ეს არ არს, წინ ვერ მივალთ, არ-რა გვიზიდავს, ერთ ადგილს დგომით მარად ვშმორდებით...“

„წარვიდნენ დრონი... ერთხელ ყოფილ ბედნიერ წუთებს ვერღა ვიბრუნებთ...

„უგზო-უკვლოთ მიმომქროლო შენ ღილის სიო, ან, მთაო, მთაო, დედაო კლდეო! რად დამარუე ქვემოთ, ბარისკენ?...

„შევმდორებულვარ, ველარ ვგრძნობ—კვლავ ჩემით ვინმე სარგებლობს თუ არა.

„ხეთ ფოთოლნი კი ვილაცაზე იკრულვებიან: „ვაჰ სიცოცხლეო, იყავ წყეული, თუ კი შენით არვინ სარგებლობს! ეჰა, ცხოვრებავ, გაქერ ბარემ თუ უგრძნობი ხარ და არ მოძრაობ...

„და მეც ხომ ვცდილობ მოძრაობას, წინ წაწევასა. მე ვმოძრაობ, მაგრამ ეს ჩემი მოძრაობა ჩუმია და უგრძნობელი... ფერი მეცვალა... ჩემ ნაპირებზე ქვემძრომთ დაუბამთ ფერხული...

„ნუ თუ მე ეხლა მათი ბუდე ვარ ან უნდა ვიყო?!. დაგვუბებულვარ... მოძრაობა აღარა მაქვს.... მძიმე, შმორის სუნმა მომიცვა. ჩემ ირგვლივ ყოველივე გახუნდა... გახუნდა ცხოვრება, გაუსულდგმულდა...

„ჩემ ზედაპირზე სიო მიმოქრის, გველივით გამისისინებს-რა, აშმორებულს სუნს ჰაერში ავრცელებს, იტაცებს შორით-შორს, ფოთლიდან ფოთოლს გადასცემს და მიდამოს შხამავს...

«რა ვქნა, რა ვუყო, კალაპოტში ღრმათ ვარ ჩართხმული; ძალა რო მქონდეს, გავარღვიო, გადავლახო... ოჰ, რა რიგ მაშინ თავისუფლათ ვირუკრუკებდი; აშმორებული სუნი ჩემიც მოისპობოდა... მაგრამ ბეჩავი ვარ, უმოძრაოთ რუეში ვშმორდები...

„ახ, მეგობარნო, მზისა სხივნო, ვარდნო, ყვავილნო, ჩემ წარსულ დღეთა ნეტარებით ვიგონებ მარად და ვიწყევლები მწუხარებით იმიტომ, რომ ისეთი ვიყავ და ასეთათ რად გარდვიქმენი?!...

„მაგრამ ეგიბის გზა გავიკვლიო, კიდევ ოდესმე მზიურ გავიდე სასურველს კვალზე ?... ეგების ჩემით კიდევ დასტკბენ ვარდნი-იანი, მაშვრალ-მწყურვალნი, ეგების ჩემით აყვავილდენ დამჭკნარ-დაძრულნი?!.“

ასე დუდუნებს ყოფილი წყაროს ნაკადული, აწ ამღვრეული, მდორე მდინარე...

იოსებ იმედაშვილი.

20 ივლისი, 1902 წ.

თბილისის სტამბები.

თარ. გაზ. „Кавказ.“-დან.

ამ უკანასკნელ დროს თბილისში გაიხსნა რამდენიმე ახალი სტამბა. ეს რასაკვირველია ფრიად სასიამოვნოა, როგორც სამრეწველო დაწესებულებათა გამრავლება და მით უმეტეს სტამბებისა, რომლების გამრავლებაც უნდა ნიშნავდეს თბილისის კულტურულ წინსვლას, ბეჭდვითი საქმის წინ წაწევას, მაგრამ სამწუხაროთ ნამდვილათ კი ეს ასე არ არის.

სტამბები თბილისში უფრო მათ პატრონთათვის საშუალებაა მხოლოთ ფულის ადვილათ შეძენისა. ამ საქმეს სათავეში უდგანან იმისთანა პირნი, რომელთაც ან სულ არავითარი კავშირი არა აქვთ წიგნების ბეჭდვასთან, ან არა და წვრილი მრეწველები ასოთ ამწყობათ ნამყოფნი, სტამბაში მოსამსახურენი, მათ ყველას ერთად იგივე მიზანი აქვთ: მიიღონ რაც შეიძლება მეტი პროცენტი თვის მიერ დახარჯულ კაპიტალზე, ხოლო ისინი სრულებითაც არა ფიქრობენ არც საქმის გაუმჯობესობაზე, არც, რაც უპირველესია, სტამბაში მომუშავეებზე: შემოკლება სამუშაო დღისა და სხვა და სხვა შეღავათები, რომლებზედაც წერდენ ადგილობრივი გაზეთები ზოგიერთ სტამბებზე, ეს მხოლოთ რეკლამაა და სხვა არაფერი, რადგან სამუშაო დროს შემცირებამ ცხრა საათამდე სრულებითაც არ გააუმჯობესა სტამბაში მომუშავეთა მდგომარეობა, ვინაიდან შეუმცირეს სამუშაო დრო, შეუმცირეს სამუშაო ქირაც.

კარგ მუშას სრულებითაც არ ეშინია შრომისა, თუ მისი შრომა ჯეროვანათ ჯილდოვდება, თუ მისი სამუშაო ოთახი ისეა მოწყობილი, რომ არ აენებს მის ჯანმრთელობას.

განა ბევრმა იცის, რა მძიმეა და აუტანელი, „რკინის რაზმთა“ შრომა? რა საშინელებაში ვარდება მათი ჯანმრთელობა სტამბის პატრონების მეოხებით, და როდესაც ყოველი ვე ეს ორკეცთება მათსავე შეუგნებლობით, მაშინ კი უნდა საქმეში ჩაერევნენ ვისიც ჯერ არს.

თვიურათ მომუშავე ასოთამწყობი მუშაობს დღეში 10 საათს; ხოლო ნაჭრათ მომუშავე უფრო მეტ დროს მუშაობს. მუშაობის დროს ასოთამწყობი უნდა იდგეს სწორეთ, არ გადაიხაროს აქეთ-იქით. მას არ შეუძლია წაიწიოს წინ ან ერთ ფეხს დაებჯინოს, რომ ფეხები არ გაუბრუდღეს, ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ მან თვალყური უნდა ადევნოს ერთსა და იმავე დროს, კასას, ორიგინალს, ვერსტატ ს; უნდა ივარაუდოს სხვა და სხვა აბზაცები და სხვა. ასეთივე შრომა უხდება ნაკლადჩიკსაც, ხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ის უნდა იდგეს წინწახრილი, გაფაციცებით თვალყური უნდა ადევნოს გრაფეიკას, მუდამ უნდა სიფრთხილეში იყოს, რომ რამე შეცდომა არ მოუვიდეს და ხელფასი არ მოუკლონ.

შედეგი ამ მძიმე შრომისა ასოთ ამწყობების უდროოთ ჯანმრთელობის დაკარგვაა, მხედველობის დასუსტება, ფეხების სიმსივნე, სისხლ ნაკლებობა და რაც უფრო უარესია თანდათანი მოწამვლა ტყვიის მტვერით: ყოველ ამის თავიდან ასაცილებლათ ცოტაოდნათ მაინც, შესამცირებლათ საჭიროა ზომების მიღება და უპირველესათ კი სტამბების შენობის რიგიანობა, სამუშაო ოთახებში საკმარისი სინათლე და ჰაერი უნდა იყოს. ტყვიის მტვერი და გაზები ერთიან ანადგურებენ ადამიანის ჯანმრთელობას. ყოფილა შემთხვევა, რომ კატას ვერ აუტანია სტამბის ჰაერი და მომკვდარა ერთი წლის განმავლობაში.

აბა დაიარეთ თფილისის კერძო სტამბები, გაიცანით მათი მდგომარეობა, გაიცანით რა პირობებში უნდებათ მუშაობა ასოთ-ამწყობებს, ნაკლადჩიკებს და თქვენ შეძრწუნდებით!

თითქმის ყველა სტამბები მოთავსებულია სარდაფებში, სადაც არ არის სინათლე, მუშაობენ დღეცა და ღამეც სანთელზე, ამას გარდა საშინელი სინესტე, რომელსაც, როგორც მოწმობს ერთი ოფიციალური პირი, სტამბის კარებში შესვლისთანავე იგრძნობს ადამიანი. ოთახში საშინელი სივიწროვეა, არ არის საკმაო ჰაერი, არც ვენტილიაცია. ახლათ შესული შეუჩვეველი კაცი ვერ გაჩერდება შიგ 10 წამს. ზაფხულში შეიძლება კიდევ, რომ ფანჯრები, ანუ უკეთ ვთქვათ სადღაც ჭერში რაღაც ფანჯრების მზგავსი, გააღონ, მაგრამ ზამთარში ესეც შეუძლებელია და მაშინ კი სწორეთ წარმოუდგენელია, რა ტანჯვაში არიან „რკინის მუშა რაზმები„, თუ შეიძლება შეურიგდეთ იმ გარემოებას, რომ საბეჭდავი ოთახები სარდაფის შენობაში იყოს, რადგან აქ მხედველობაშია მისაღები მაშინების დადგმა, არავითარი შეწყნარება არ შეიძლება იმისი, რომ ასოთ ამწყობთა სამუშაო ოთახებიც ამისთანავე სარდაფებში იყოს, ეს კი თფილისის თითქმის ყველა სტამბებში ასეა

რასაკვირველია კარგათ მოწყობილი სტამბა პატრონს ბევრი ფული დაუჯდება, და რათ დახარჯავს, როდესაც ღარიბი კაცი ისეც იმუშავებს, რისგამო ყოველ გვარ სარდაფში ათავსებენ სტამბას.

ამაზე მეტი ექსპლუატაცია ადამიანისა აღარ შეიძლება...

რაოდენობა, მომუშავეთა სხვა-და-სხვა სამრეწველო დაწესებულებებში და მათი ხელფასის საერთო ჯამი.

(კარლ რაიტის თხზულებიდან: ამერიკის შეერთებულ შტატების ინდუსტრიის ევოლუცია).

პირველი სწორი სტატისტიკური ცნობები იმ პირთა საერთო რიცხვის და საერთო ჯამის ხელფასის შესახებ, რომელნიც მუშაობენ სხვა-და-სხვა მანუფაქტურასა და მექანიურ წარმოებაში შეერთებულ შტატებში, მოყვანილია მეშვიდე აღწერის (census) ანგარიშებში 1850 წ. ამ ანგარიშებში მართლაც შეხვდებით ცდას, რომ გამოერკვიათ მამაკაცთა და დედაკაცთა რაოდენობა, რომელნიც წლის განმავლობაში მუშაობდენ და აგრეთვე საერთო ჯამი მათ მიერ აღებულ ხელფასისა იმავე დროს განმავლობაში. ორთა შუა მუშათა რიცხვი გამოიხატა 957.059. 1840 წ. აღწერაში შევიდა მხოლოთ რამდენიმე წარმოების მუშები და მუშათა საერთო რიცხვი გამოვიდა 564.617. ხელფასის ჯამი არ ყოფილა მაშინ გამორკვეული. ამ ციფრებით არაა საკმარისი სისწორით გამოანგარიმებული იმ მუშათა რაოდენობა, რომელნიც ამ წელს მუშაობდენ სხვა-და-სხვა წარმოებაში. შემდეგში სცადეს ამ კითხვის შესახებ უფრო სწორი სტატისტიკა და როგორც გვიჩვენა მწარმოებელთაგან მიღებულმა პასუხებმა ამ წლის მუშების რაოდენობა შეადგენდა მთელი მცხოვრებლების 3%

თუმცა სხვა-და-სხვა წარმოებაში 1850 წლამდინაც უფრო და უფრო შემოდიოდა მაშინები, მაგრამ ძალიან ბევრ წარმოებაში თანამედროვე წარმოების ჩქარი განვითარება დაიწყო სწორეთ ამ წლიდან. მრეწველობაში ჩვენი ისტორიის სხვა-და-სხვა ეპოქაში მრეწველობამ მომუშავეთა რაოდენობა, მცხოვრებთა მთელი რაოდენობასთან შედარებით ამ ნაირათ გამოიხატება: 1850 წ.—4,13%; 1860 წ.—4,17%, 1870 წ.—5,33%; 1880 წ.—5,45%; 1890 წ.—7,53%. 1870, 1880 და 1890 წ. ციფრებში არ შედის იმ პირთა რაოდენობა, რომელნიც მუშაობდენ მაღაროებში (mines), ქვის სატეხ მადნებში (carrieres) და მეთევზეობით (pêcheries). მიუხედავათ ამისა ციფრები მაინც გვიჩვენებენ, რომ მუშათა რაოდენობის ზრდა უსწრებს მცხოვრებთა რაოდენობის ზრდას. ეს პროცენტული დამოკიდებულება გამოანგარიშებულია იმ ციფრების საფუძვლით, რომელნიც გვიჩვენებენ იმ პირთა საშუალო რიცხვს, რომელნიც მართლა მუშაობდენ სხვა და სხვა დაწესებულებაში ერთათ საშვალო წლის განმავლობაში, რომელიც ამორჩეულ იქმნა ამ დაწესებულებათა ჩვენებათა მიხედვით. თუ აქ მიუმატებთ იმ მუშების რაოდენობას, რომელნიც მუშაობენ მექანიურ ინდუსტრიის და მანუფაქტურის ხსვა და სხვა დარგში, მიუხედავათ იმისა ასრულებენ ისინი რაიმე უბრალო სამუშაოს, თუ სრულიათ უმუშაოთ რჩებიან, ამ შემთხვევაში მუშათა საერთო რაოდენობა მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით ამ ნაირათ გამოიხატება: 1860 წ.—5,91%; 1870 წ.—6,36%; 1880 წ,—6,81%; 1890 წ.—8,13%.

რასაკვირველია, პროცენტების გამოანგარიშების დროს ჩვენ მხედველობაში გვყავს და მცხოვრებთა მთელი რაოდენობა: მაშ არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ეს პროცენტული დამოკიდებულება გამოხატავს იმ პროპორციას, რომელიც არსებობს მართლა მომუშავე პირთა რაოდენობის და იმ პირთა რაოდენობას შორის, რომელთაც შეუძლიათ იმუშაონ. ამნაირათ თუ 1890 წ. პროცენტულ დამოკიდებულების გამოანგარიშების დროს ჩვენ ავიღებთ მხოლოთ ხუთმეტ წელზე. უფრო ხნიერ მცხოვრებთ, მაშინ ვნახავთ, რომ სხვა და სხვა მექანიურ და მანუფაკტურულ წარმოებებში მომუშავეთა რიცხვი უდრის მცხოვრებთა რიცხვის 12,61%.

ხელფასის ნამდვილ და საშვალო რაოდენობის შესახებ დოკუმენტები მექანიური ინდუსტრიის სულ ყველა დარგში შეკრებილია და განხილული იქნება ერთ შემდეგ თავში. ის ცნობები, რომელთა შემწეობით ჩვენ გამოვიანგარიშეთ ხელფასის საერთო ჯამი, შეეხება წარმოების სულ ყველა დარგს ერთად. მართლა არას დროს არ უცდიათ ხელფასის საერთო ჯამის გამოანგარიშება ყველა იმ პირთათვის, რომელნიც მუშაობენ მხოლოთ მექანიურ და მანუფაქტურულ წარმოებებში. მუშების რიცხვის მომატება, ხელფასის საერთო და საშვალო ჯამის მომატება პროპორციონალურათ შემცირება მანუფაქტურაში შრომის ხვედრა შემოსავლისა მანუფაქტურაში, მუშების საწარმოო ძალის ზრდა—აი ის უმთავრესი შედეგები მაშინიზმის და მსხვილ ინდუსტრიის განვითარებისა, რომელთაც გავლენა იქონიეს მუშებზე და მათ ხელფასზე.

მუშების რაოდენობის და მათი ხელფასის საერთო ჯამის ზრდა კარგათ ჩანს იმ ფაქტიდან, რომ მაშინ როდესაც 1850 წ. ორთაშვა ითვლებოდა 957.059. მუშა, რომელთაც ერთათ აიღეს 236.755.464. დოლარი, 1890 წ. მუშების რაოდენობამ მიაღწია 4.712.622 და მათი ხელფასი უდრის 2. 283.216.529. დოლარი მართალია, რომ უფრო გაუმჯობესებულმა სტატისტიკამ შეგვაძლებია 1890 წ. ციფრებში ზოგიერთი ისეთი ელემენტების შეტანა, რომელნიც სრულიად არ შესულა წინანდელი წლების სტატისტიკა ! ! ან არ მიუქცევიათ თავისთავზე ჯეროვანი ყურადღება წინეთ. მაგრამ რომ კიდეც შევამციროთ ეს ციფრები შედარებით უფრო მეტი სისწორისათვის, ჩვენ მივიღებთ: 1890 წ. იყო 4.286.523 მუშა, რომელთაც ერთათ მიიღეს 1.911.137.838 დოლარი, ესე იგი 1890 წ. 1850 წელთან შედარებით მუშებისა რიცხვი იყო 3,329-464 ანუ 347,88% მეტი და ხელფასის საერთო ჯამი იყო 1.674.382.374 დოლარით ანუ 707,22% მეტი.

ამავე პერიოდის განმავლობაში საშვალო წლიური ხელფასი გაიზარდა 247,38-დან 445,85-დე, ესე იგი გადიდდა 197,48-ით, ანუ 82,22%-თ.

მაშინ როდესაც ხელფასის საშვალო და საერთო ჯამმა იმატა, პროპორციონალური რაოდენობა შრომის ნაყოფის წმინდა ღირებულობისა, რომელიც შრომას ეკუთვნის, შემცირდა. საქონლის წმინდა ღირებულობა უდრის იმ ღირებულობას, რომელსაც მივიღებთ საერთო ღირებულობისაგან შეუმუშავებელ მასალის ღირებულობის გამოკლების შემდეგ. გამოკლების შემდეგ მიღებული ღირებულება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ღირებულება, რომელსაც უმატებს მასალას ღირებულების კაპიტალის და შრომის შეერთებული მოქმედება. შეერთებული შტატების ყველა წარმოებათა საერთო ჯამი გვიჩვენებს, რომ 1850 წ. ღირებულობის 50% შრომას ეკუთვნოდა, მაშინ როდესაც 1840 წელს ამავე შრომას ერგო 45% ამ შემცირების წინააღმდეგ იზრდება მოგება, რომელიც აგრეთვე იხდება წმინდა მოგებიდან, იმიტომ რომ კაპიტალის საშვალო რაოდენობამ, რომელიც საჭირო იყო 100 დოლრათ ღირებული საქონლის საწარმოოთ, აიწია, 52,32% 1850 წ. 69,62 e. 1890 წ. მუშების რაოდენობის და მათი ხელფასის საერთო ჯამის მომატება, შრომის კუთვნილ წმინდა შემოსავალის პროპორციონალური ნაწილის შემცირება, არის შედეგი მრავალ სხვადასხვა მიზეზების. ამ მიზეზებში ყველაზე უფრო დიდ მნიშვნელოვანია მაშინების გამოყენება და ყველა იმ ზომების გამოყენება, რომელნიც ხელს უწყობენ ადამიანის შრომის დაზოგვას. ყოველ შემთხვევაში, მათი გაელენის პრაკტიკულათ დანახვა ყველაზე უფრო ადვილია.

დაუმუშავებელი მასალის ღირებულობა საზოგადოთ შეადგენს წარმოების ხარჯების უმთავრეს ნაწილს, და რადგანაც ეს ხარჯები შეადგენენ საქონლის საზოგადო ღირებულობის ნაწილს, ამიტომ იმ წარმოებებში, რომელნიც თითქო გამოიყენენ უმეტესი ღირებულობის საქონელს, არ არის მუშათა რიცხვის უმეტესობა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ისეთ წარმოებათ, სადაც არაა მაშინები, მაგ., ქვის ტეხა, მჭედლობა, დურგლობა, მაშინ დავინახავთ, რომ რამდენათ მეტი მუშაა წარმოებაში, იმდენათ ის უფრო სარგებლობს მანქანებით. ასე მაგ., ტექსტიული წარმოება, ფეხსაცმელის, ტანისამოსის, სხვადასხვა ლითონების და ხე-ტყის წარმოება.

ამ ფაქტის დასამტკიცებლეთ ჩვენ ვხედავთ, რომ 1850 წ. მხოლოთ შემდეგ შტატებში: ახალ ინგლისში, ნიუ-იორკში, პენსილვანიაში და ნიუ-ჯერსში მუშების საერთო რიცხვიდან 73% მუშაობს ზემოხსენებულ წარმოებებში და ამავე დროს კი ამ შტატების წარმოება შეადგენდა ნაციონალურ წარმოების 70%.

1850 წ. ძლიერ განვითარებას დიდი წარმოებისა არ შეეძლო ამ არა პროპორციონალობის შეცვლა და 1890 წ. პროცენტულმა დამოკიდებულებამ მიაღწია კიდეე 54 და 52%. ამა ხნის განმავლობაში ამავე შტატებში მუშების რიცხვმა იმატა 233%-თ და წარმოების საერთო შემოსავალმა 584%-თ. ამერიკას სულ ყველა შტატებში, ზემო დასახელებულ შტატების გარდა, მუშათა რიცხვმა იმატა 643%-თ, საერთო შემოსავალმა 1,376%. ამასთანავე მუშათა რაოდენობის მომეტებასთან და საქონლის ღირ ებულებათა არა პროპორციონალობაც იყო აგრეთვე შესამჩნევი. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, პირველათ მოწყობილ წარმოებებში მუშათა რიცხვის ზრდა უფრო ეთანაბრება საქონლის ღირებულობას, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომელნიც უფრო გვიან გამოვიდენ სამრეწველო განვითარების გზაზე.

როგორც ციფრები გვიჩვენებენ, შტატებში ახალ ინგლისი, ნიუ-იორკი, პენსილვანია და ნიუ-ჟერსი ერთა შვა საჭიროა 1,12 მუშა, რომ მივიღოთ წმინდა შემოსავლათ 1000 დოლარი და 0,9 მუშა იმავე ღირებულობის მოსაგებათ, როგორც ეს ჩანს დასავლეთის შტატების ციფრებიდან. ახალ ინგლისში შრომას ეკუთვნის წმინდა შემოსავალის 57%; დანარჩენ შტატებში კი—42%; სამხრეთ შტატებში პროპორცია აღწევს 51%-ც. ყოველთვის ხელფასის რაოდენობაში შედის დირეკტორების და ბიუროში მოსამსახურე პირების ჯამაგირიც.

(შემდეგი იქნება)

ზოგიერთი ცნობები სასოფლო სამეურნეო წარმოებიდან.

(მოკლე მიმოხილვა).

სასოფლო-სამეურნეო წარმოება საქართველოში დაბალ საფეხურზე დგას. რაციონალურ წარმოებამ და მეურნეობამ მხოლოთ უკანასკნელ წლებში დაიწყო ყოველგან ფეხის მოკიდება. ამ მხრივ განსწავლული ხელი და გონება ძლიერ ცოტაა ჩვენ სამშობლოში. თუ ვინმე გვყავს, ისინიც, ერთი ქრონიკიორის სიტყვით, „კაკარდიან“ ადგილებს ეძებენ და ნამდვილ დანიშნულებას გაურბიან; მეორე მხრით ჩვენმა ერმა ზოგიერთ ალაგას გაიარა ის ხანა, როდესაც, ვანდერველდის სიტყვით, „ქალაქები კი არ იზიდავენ სოფლებს, თვით სოფლები გამოისროლიან თავიანთ გულისაგან მცხოვრებთა ზედმეტს, რომელნიც ქალაქებში და მრეწველობის ცენტრებში სახლდებიან“; ქალაქები „თუ ადამიანის, თუ ნაყოფის, თუ ფულის სახით“ უკვე საკმარის წვენს წუწნიან სოფლებს. უკანასკნელთ აკლდება მმოძრავი და ღონიერი ელემენტი. ამ ფაქტს სხვანა შარის საკმარისათ ასაბუთებს ჩვენი ქალაქების უჩვეულო ზრდა. მოყავს რა სტატისტიკური ცნობები, ბ. ფ. მახარაძე აი რას წერს: „აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თფილისის

ზრდაში ყველაზე დიდი მონაწილეობა ქართველ ხალხს მიუღია: თფილისში 1835 წელს 4217 ქართველი მცხოვრები იყო, ხოლო 1891 წელს კი 38357, ე. ი. 56 წლის განმავლობაში ქართველების რიცხვს მოუმატია 800,$_{58}$% .. თუ ეს ასე მოხდა თფილისში, სადაც ქართველების გამრავლება თავიდანვე ცუდ პირობებში იყო ჩაყენებული, ადვილი წარმოსადგენია, რომ საქართველოს დანარჩენ ქალაქების ზრდაში მარტო ქართველობა ღებულობდა და ღებულობს მონაწილეობას“ (კვალი № 9 1900 წ.), დასკვნა ადვილია, ქართველი თანდათან ეტანება ქალაქში ცხოვრებას თანამედროვე პირობების მეოხებით, ანუ „ქართველმა იწყო გზის გაკაფვა თანამედროვე საალებ-მიმცემო და სამრეწველო სარბიელზე, შეაღო თანამედროვე განათლების კარი და იქ საპატიო ადგილი დაიკავა ამიერ კავკასიაში დასახლებულ ერთა შორის“ (ibid). „ქალაქათ გასვლას“ ეხლა ჩვენი პრესაც შეურიგდა თითქმის. ლიბერალურ ეკონომისტებმა საჯაროთაც აღიარეს ფაქტი. მხოლოთ რეაქციონურ პრესაში თუ შეხვთებით ეხლა ლიტერატურის ბიჭ-ბუჭების მიერ ფრჩხილებში ჩასმულს კაპიტალიზმს და მის შედეგებს. ასეთების ხმა კი სათვალავში არ მიიღება. ზემო დასახელებულ მიზეზების გათვალისწუნებით ადვილათ გასაგები ხთება ჩვენ სოფლელთა ეკონომიური დაძაბუნება, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დიდ კრიზისს, რომელიც ჩვენ ცხოვრებაში ხთება და რომლის სათავე იწყება მაშინ, როდესაც ნატურალური ორგანიზაცია ადგილს უთმობს ფულისას. „ამიერ კავკასიის გლეხთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას ისეც ამტკიცებს, რომ თფილისის გუბერნიაში ჩაწერილი იყო 14,230 კომლი, რომელთაც 52,483 დეს. მიწა ქონდათ... ოცდა თექვსმეტი წლის შემდეგ 1900 წლის 1 იანვრისათვის გამოიყიდეს იმათთაგან და ისეც თითქმის ყველამ მთავრობის დახმარესით მარტო 3,475 კომლმა (მეოთხედზე ნაკლებმა) და ადგილი იყიდეს 15,125 დეს. (ორ მეშვიდედზე ნაკლები)“ (Кавказскій Вѣстникъ № 6—1901 г.). აღსანიშნავია ისეც, რომ მთავრობის დახმარებით გამოყიდულ გლეხებთ ადგევთ კისერზე 272,158 მ. და 19 კ.. ნედოიმკა მაშინ, როდესაც წლიური გადასახადი 46,780 მ. და 76 კაპ. უდრის. ქუთაისის გუბერნიაში ესეთი ამბებია განაპირა მაზრებში. არამც თუ მთელი მხარეები, სოფლებიც საკმაოთ მძიმე სურათს იძლევიან: „სოფელი ნაფარეული ლამის გაწყალდეს ისეთი დიდი აუტანელი ხარჯი აწევს კისრათ (32,000 მ.). ს. კონდოლაშისაკუთარი მამულის პატრონი გლეხ-კაცნი (53 კომლი) უარს ამბობენ შესყიდულ მამულზე“ (მოამბე № 10—1894 წ). შევჩერდეთ ეკონომიურ დაქვეითების მიზეზებზე და გავითვალისწინოთ მასთან სასოფლო-სამეურნეო წარმოება. უპირველეს მიზეზათ ასეთი დაქვეითებისა ჩვენი კორესპონდენტები ასახელებენ მიწის სიცოტავეს. ვერ ვიტყვით, რომ სხვა უმთავრეს მიზეზთა შემდეგ დასახელებულ მოვლენას არ ქონდეს გავლენა. ამ საკითხს საკმაო განათება ერგო ჩვენ ლიტერატურაში. კერძო წერილების ავტორნი და კორესპონდენტები ერთხმათ აღიარებენ ფაქტს, ოფიციალური „კავკაზის“ სიტყვით ხევსურებმა და სხვა მთიულებმა გუბერნატორთან მიმართულ თხოვნის პირველ მუხლში მოათავსეს მიწის სიცოტავის შესახებ კითხვა. „რაც მეტი ხანი გადის, მით მეტათ საგრძნობი ხთება მიწის სიცოტავე მთაში“ (ივერია, № 253, 1900 წ). მიწის სიცოტავემ მთაში მამულზე ფასის აწევა გამოიწვია; „ს. ყაზბეგში დღიური მიწა 400—600 მან. ფასობს“ (ibid), ასეთი მოვლენა უფრო მწვავეთ ბარსაც ესტუმრა; საქართველოს ყოველ კუთხიდან მას უჩივიან (კვალი № 40, 25, 12, 8—1900 წ. № 5—1901 წ. და სხვები). იმერეთის მიწის სიმცირემ მთავრობის ყურადღებაც მიიქცია. სხვათა შორის, ჩქარი ზრდა ჩვენ ხალხისა ამ მოვლენის ადვილი ამხსნელია. „მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ამიერ კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი, შემდეგ ხანებში შემოერთებულ პროვინციების მცხოვრებთა გარდა, სამჯერ მეტი გაზრდილა“ (კვალი, 1900 წ. მახარაძე). საქართველოში კერძოდ მეტათაც გაზრდილა ხალხი. ამრიგათ ერთ და იმავე ადგილს სამზე მეტი პატრონი აღმოჩენია. მცხოვრებთა სიმჭიდრე ქუთაისის გუბერნიაში უდრის 34,$_{57}$ კაცს თითო ოთხკუთხ ვერსზე, თფილისისაში—28,$_{27}$ კაცს (ibid). გამოანგარიშებით ერთი მეორეზე კაცს მოუდის 3 დეს., ხოლო ასეთი ციფრი უბრალო ფიქციაა. ამ ციფრს უნდა გამოაკლოთ და მასთან მხედველობაში მიიღოთ ის აუარებელი მთა-ღრეები, რომლითაც ასე დასერილია საქართველო და რომელიც გამოუყენებელია, ის მამულის კონცენტრაცია, რომელიც ეტყობა ჩვენ მსხვილ-მესაკუთრეთ, ყოფილი ბატონ-ყმური დაყოფა ადგილებისა, რომლის წყალობით დღესაც ერთ ხელში საკმაო მამულია მოგროვილი, ნატურალური მეურნეობა, რომელიც ევროპასთან შედარებით $^{1}/_{10}$ ნაყოფს არ იძლევა და სხვა... მაშინ და მხოლოთ მაშინ გაიგებთ სამართლიან წუწუნს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მეურნეობა ძლიერ ცოტას იძლევა, მიწეზები განსწავლული ხელის არ ყოფნის გარდა სხვებიცაა. დავასახელებ თუ გინდ მიწის განაყოფიერება-გაპოხიერებაზე უზრუნველობას; რის შედეგია ჩვენში მორწყვის საქმის ცუდ ნიადაგზე დგომა. ჩვენში ძველათ დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული ირრიგაციას. მაშინდელი არხები დღესაც დარჩენილა უმთავრესათ მტკვარ-ალაზნის მინდვრებში. ამ საქმეს ძველათ ცალკე ორგანიზაციაც ქონია, რასაც ვახტანგის სჯულდება მოწმობს. ასეთი ძველი არხებით დღესაც სარგებლობს ხალხი. „ლეხურის ხეობაში დღეს მრავალი მოიპოვება ვენახები, ბაღები, ბოსტნები, საკომბასტოები და სხვა; ეს იმისთვის, რომ მთელი ეს ნაწილი დასერილია მრავალი არხებით... ეს არხები ძველის-ძველია“ (კვალი № 45 1900 წ). საუბედუროთ ყველა ძველ არხებს ვერ იყენებს ხალხი და ვერც ახალს ეტანებოდა უკანასკნელ წლებამდე ზოგიერთ მიზეზების გამო. სპეციალისტების გამოკვლევით დარჩენილია ორი მილიონი ჰექტარი ადგილი, რომელიც ირრიგაციონალური შენობებით უნდა მოიფინოს. „მორწყვის კითხვასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ უპირველესი მტერი ირრიგაციის—ტყის გაჩეხვა, რომელსაც სამწუხარო შედეგები მოყვება არამც თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, არამედ ჰავისათვისაც“ (Вѣстникъ гор. дѣла и орош. № 10—1900 წ.). ჩვენში ეს აზრი ჯერ არ გათქეფილა და ტყეს ისე უდიერათ ეჭცევიან, რომ კორესპონდენტი ერთი კითხვით მიმართავს საზოგადოებას: „არა, ამდენი ხანი იმისათვის ინახებოდა სკრის ტყე, რომ ბოლოს ტყე უდმერთოთ გაჩეხილ იყო (ცნობის ფურცელი № 1340)?! განა სკრის ტყეა მარტო ასეთ მდგომარეობაში? მთელ საქართველოს კერძო ტყეებს ასეთი დღე ადგია. რუსეთმა ადმინისტრატიული ზომები იხმარა ამ სენის მოსასპობლათ, მარა თურმე... ზოგ კანონებს ადმინისტრაციაც ვერას აკლებს. ორი დასახელებული ფაქტი ცოდნის არ ქონებასთან ერთათ წინდაწინვე გვეუბნებიან მეურნეობის დაცემაზე. მართლაც, ჩვენი მეურნეობა და სოფლის წარმოება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძლიერ დაცემულია. უკანასკნელ წლებში იქ-აქ გამოჩენილი სინათლე იმდენათ შუქს არ იძლევა, რომ საქმის შებრუნება შეიძლოს ვიცოცხლოთ და ვნახავთ! თვით უპირველესი დარგი ჩვენებურ მეურნეობისა—ხორბლეულობის მოწევა—ძლიერ დაცემულია შედარებით და თითქმის აბსოლიუტურათაც, დღიურ მუშის მრჩენელი სიმინდი, რომელსაც ამოდენა დროს ახმარს ჩვენი გლეხი, არ დგას სასურველ ნიადაგზე. მიუხედავათ ამოდენი დიდი ხნის პრაკტიკისა, ქართველმა არ იცის სიმინდის

სასურველი მოვლა. თუმცა სიმინდის კულტურა ძლიერ დაცემულია (ეხლა ხომ ავადმყოფობაც გაუჩდა!) ქუთაისის გუბერნიას მარტო 6000000 ფუთი სიმინდი გააქვს საზღვარგარეთის ბაზარზე. თფილისის გუბერნია ამ მხრივ გაცილებით დაბლა დგას ქუთაისისაზე. სიმინდის მოწევის შემდეგ ჩვენში პირველი ადგილი მეღვინეობას უკავია; მას თითქმის მთელი საქართველო ეწევა. წინა წლებში ჩვენმა მევენახეობამ დიდი კრიზისი გამოიარა: მას ათასგვარი მტერი გაუჩნდა. საბედნიეროთ აქ მეცნიერება დროზე დაგვეხმარა და საკმარისი ზომები იქნა მიღებული მევენახეობის ფეხზე წამოსაყენებლათ. სხვა ზომათა შორის ჩვენ დავასახელებთ ამერიკული ვაზის დამყნას. მან დიდი სარგებლობა მოუტანა მევენახეობას. მარტო „საქარის საჩქოლეს“ მოღვაწეობა საკმარისი საბუთია გამოთქმულ აზრის. 1896 წ. ბაღიდან წაუღიათ 18,831 ვაზი; 1897 წ.—92,104; 1898 წ.—136,789 და 16,621 დამყნილი—1899 წ. 243,771 და 32,468 დამყნილი და 21,175 გასამრავლებლათ. ამ საჩქოლეში მომქმედ პირთა წყალობით ამერიკული ვაზი დასახელებულ დროში ქუთაისის გუბერნიის 138 სოფელში იქნა შემოღებული (Кавказъ № 254—1900 წ.) თვით წარმოებაც იზრდება ხელ-ხელა, დაბლა მოყვანილი ცხრილი ეხება ამიერ-კავკასიის ღვინის წარმოებას, მარა ის უმეტესი ჩვენი გუბერნიების წარმოებას ანათებს, რადგან ჩვენი მხარე სხვებზე გაცილებით მეტათ ეწევა მევენახეობას.

| | მოკრეფილი ყურძენი | | |

მოაქვს. საზოგადოება და პრესა—ორივე სიამოვნებით აღნიშნავს მეაბრეშუმეობის ზრდას. მეაბრეშუმეობის ცენტრათ სამართლიანათ ითვლება კავკასიაში ქუთაისის გუბერნია; აქ დიდი და პატარა ყველა მუშაობს ამ ნიადაგზე და შრომასაც სხვა გუბერნიებთან შედარებით მეტი ნაყოფი მოაქვს. კავკასიიდან 1898 წელს გასულა 3,000,000 ფუთი პარკი; რაც ადგილობრივ ქარხნებში დამზადდა და სოფლათ ძაფათ ამოიღო, ისეც ხომ საკმარის ციფრს მოგვცემს. ამავე წელს ამ საქმეს დაუტრიალ ებია ჩვენში 4 მილიონი მანეთი. მარსელში გაუტანიათ 40,000 ფუთი გამხმარი პარკი. შემოტანილა 100000 ფუთი გრენი. შემდეგ წლებში საქმე უფრო იზრდება. ამ დარგით კარგი დუმა შეიძლება მოვთაფლოთ ქართველებმა, თუ ვუპატრონებთ მას. საუბედუროთ, ჯერ მოვლაც არ ვიცით და არც არავინაა მადლიანი, ის გვასწავლოს. სპეციალური განყოფილება ცნობილი ორგანოსი ჩვენში უფრო თეორიას უნდება, მინემ პრაქტიკას. თეორია კი უბრალო ხალხისათვის დიდი გამოსადეგი არ არის, მას აჩვენე, ასწავლე მითითებით და ნაყოფს მაშინ მოკრეფ. „სასურველი იქნება საიმპერატორო საზოგადოება ამ გზას დაადგებოდეს“, სურვილს აცხადებენ სოფლის კორესპონდენტები.

დაგვრჩა ორიოდე სიტყვა სათქმელი სოფლურ ნაწარმოებებზე. როგორც წინა საუკუნეებში, ისე დღესაც ჩვენში ქსოვენ დარაიებს, სხვა-და-სხვა აბრეშუმის ქსოვილებს, საჩოხე შალებს, საზაფხულო ქუდებს, წინდებს და სხვ. დროთა ვითარებამ ამგვარი სოფლური შრომა მინიმუმამდე დაიყვანა. ეს ადვილი ასახსნელიცაა. დასახელებული წარმოება ჩვენში ერთ წერტილზე იყო გაყინული; ის თითისტარ-საჩეჩელ-დგიმს არ აცილებია. ყველაზე მეტი დასახელებულ ნაწარმოებთაგან საჩოხე შალი იყიდება, თუმცა იმასაც გვარიან კონკურენციას უწევენ ოსური და ლეკური შალები. უპირველესი ბაზარი შალ-აბრეშუმეულობისა ჩვენში ჯერ დაბა ხონია; სოფლის აბრეშუმეულობა—დარაიას ძირი გაუთხარეს ჩვენში. იმავე წარმოების ქარხნებმა. მანქანამ და განსწავლულმა ხელმა მოერია უვიც ხელით მომუშავე დგიმ-საჩეჩელსა. ასეთია მცირე სურათი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა. ამ მცირე მიმოხილვიდანანაც დაინახავდა მკითხველი შემდეგს: ჩველებრივი სისტემა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა თან და თან ეცემა ჩვენში; პრიმიტიულმა იარაღებმა და ცოდნამ ძირი გაუთხარეს იმას. აგრეთვე საქართველოში ახალი ხანის დამყარებამ გამოიწვია საერთო კრიზისი. უკანასკნელ წლების მაგალითები გვიქადიან რაციონალურ მეურნეობა-წარმოების დამყარებას. იქ-აქ სინათლე ბჟუტავს და ნათელის დამყარებაც დიდ ხანს არ გვაცდევინებს. კაენდიშის არ იყოს, ლიბერალურ ეკონომისტებმა და ნაციონალისტებმა „თვალი კი არ უნდა დახუჭონ“. უნდა გააჭყიტონ კიდეც, რათა სამართლიანი დიაგნოზი დასვან. ავათმყოფი წამლით რჩება და არა ქებათა-ქების შესხმით.

ვ. შავდია.

საზოგადოებრივი ჰიგიენიდან.

სანატორიებსა და ზღვის სანიტარულ სადგურების შესახებ.

(დასასრული. იხ. № 32).

ზემო მოყვანილ ცნობებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ სანატორიების მოქმედება მეტათ სანუგეშოა. ახლა უნებლიეთ იბადება კითხვა: თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენ სიღარიბეს და იმასაც, რომ ქველმოქმედება რუსეთში მოუწყობელია, შესაძლოა იმედი გვქონდეს, რომ სანატორიები საკმარისათ გავრცელდენ, გავრცელდენ იმდენათ, რომ ამათ ეუწოდოთ სახალხო დაწესებულებაᲜ? თუ ჭლექს ჩავთვლით მეტათ გავრცელებულ სენათ, ესე იგი სახალხო სენათ, იმ შემთხვევაში მასთან საბრძოლველი ზომებიც უნდა იყოს სახალხო. ეს ზომები უნდა წვდებოდეს ხალხის ყველა ნაწილს. [illegible] იმისა, რომ რუსეთში სტატისტიკა არაა წარმოებული, მაინც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ქვეყანაში ჭლექი მეტათ დიდ მსხვერპლს ითხოვს. რამდენათ დრო მიდის, იმდენათ ეს ავათყოფობა უფრო მეტი სიძლიერით გადადის ქალაქებიდან სოფლებში. სიკვდილის რაოდენობა ჭლექისაგან რუსეთში უდრის ერთ მეშვიდედს, ერთ მეექვსედს საერთო სიკვდილისა მთელ სახელმწიფოში. რუსეთის დიდი ქალაქები, როგორც მოსკოვი და პეტერბურგი სახელგანთქმული არიან სულ ყველა ევროპის ქალაქებთან შედარებით ჭლექისაგან დახოცილთა რაოდენობის მიხედვით, პეტერბურგის ყოველ წლიურ სტატისტიკურ უწყებიდან ჩანს, რომ 1878 წლიდან მოყოლებული 1895 წლამდე, საშვალო რიცხვით პეტერბურგში კვდებოდა 4.453 კაცი. დაახლოვებით იგივე ციფრია მოსკოვშიც. როცა ჭლექი ისე გავრცელებული რუსეთში (დაახლოვებით ამ ქვეყანაში ჭლექიანთა რიცხვი არის $1^1/_2$—2 მილიონამდე), ასი, ორასი კაცისთვის მოწყობილი სანატორია სახსენებელიც არაა, ხარჯს კი დიდს მოითხოვს. დღემდისაც ისე ცუდათაა საავათყოფოების საქმე მოწყობილი, რომ სატახტო ქალაქებშიაც კი ჭლექით ავათმყოფისათვის არ მოიპოვება განსაკუთრებული ბინა, თუმცა ჭლექი გადამდებია, და ამის გამო ავათმყოფს ათავსებენ საზოგადო საავათყოფოში. გადახედეთ პეტერბურგის საბჭოს საავათმყოფოების კომისიის ანგარიშებს. აქამდისაც იქ შეხვდებით ისეთ ფაქტებს *), რომ სამასი კაცისთვის აშენებულ საავათმყოფოში ცხრაას ავათმყოფზე მეტია მოთავსებული. და რასაკვირველია, თითო ავათმყოფზე მოდის არა უმეტესი იმ ჰაერისა, რაც არის საავალდებულო მინიმუმათ მიღებული კუთხეებათ გასაცემ ბინებისათვის. ამ სივიწროვის გამო ხსენებულ საავათყოფოებში სიკვდილის რაოდენობამ თან და თან იმატა და ბოლოს კიდეც გაორდა. ეჭვს გარეშეა, რომ სხვა ქალაქებში კიდევ უფრო საგრძნობელია საავათყოფოების, თავშესაფარების და სხვა საექიმო დაწესებულებების სივიწროვე. სოფლებში მეფობს უმეცრება. აქ არ აქვთ შეგნებული სრულიათ ცოტა რამეც ჰიგიენურათ ცხოვრების საჭიროებისა, შკოლებიც არ მოიპოვება საკმაოთ, რომ იმათ ცოტაოდნათ მაინც გაევრცელებინათ ხალხში ცოდნა, და რაც უფრო საყურადღებოა ხალხი მუდამ სანახევროთ მშიერია. ქარხნებში მეტათ სუსტი თვალ-ყურია —და ამის გამო არსებობს ურიცხვი სიეთი პირობები, რომელნიც მუდმივ წამლვენ მუშის ორგანიზმს. აი წყარო, რომელიც იწვევს საზოგადოთ ყოველ ნაირ ავათყოფობას და კერძოთ ჭლექს. ინგლისელებმა ეს საკმაოთ შეიგნეს და კიდეც დაუწყეს ჭლექს ბრძოლა სანიტარულ-ჰიგიენურ ზომებით, როგორც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, „ინგლიის ხალხიო, ამბობს ექიმი Beevor, სულ მეტს და მეტს ჭამს და ავათყოფობს სულ ნაკლებ და ნაკლებ“. ინგლისელებმა გატაცებით მოკიდეს ხელი იაფ ფასიან ზღვის სადგურების მოწყობას, რომელნიც წარჩინებით უწევენ მეტოქეობას სანატორიებს. ასეთივე მოძრაობა რუსეთშიც არის. ორიენბაუმში, ვინდავაში, იალტაში შეგიძლიათ შედარებით იაფათ მთელი წელი იცხოვროთ კერძო ბინაზე და იბანაოთ ზღვაში. გაპსალში, რეისბურგში, ოდესაში არის საზაფხულო სასანიტარო სადგურები. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვაში ბანაობას, უმეტესათ ბავშობაში. ჭლექის დასაწყისში ზღვას მეტათ კარგი გავლენა აქვს ავათმყოფზე, მაგრამ თუ ჭლექი განვითარებულია და მაინც თუ სისხლის დენა აქვს

---

*) ეს ცნობები ამოღებულია ექიმ ს. ვირსალაძის „სტატიიდან: „О задачахъ общества больничныхъ врачей въ Петербургѣ„.

ავათმყოფს ფილტვებიდან, მაშინ ბანაობა მეტათ მავნეა. აი ცნობები ვინდავის სანატორიის ანგარიშიდან 1899 წ. ავათმყოფი იყო 53 კაცი. მათში ბანაობის სეზონის შემდეგ 41 შემთხვევაში კარგი შედეგი იყო (120 სრულიათ მორჩა, 21 კი დაეტყო შესამჩნევი გაუმჯობესობა), არ მოუკეთნია 9, დასუსტება დაეტყო სამს. ასეთი შედეგები მეტათ სანუგეშოა.

საბავშო სანატორიების მოწყობილება არ უნდა.იყოს ერთნაირი ყოველგან. პირიქ.ით საჭიროა ადგილობრივი პირობების და მოთხოვნილების შეთანხმება. ასე მაგალითათ, სუსტი აგებულობის მოწაფეებს შეუძლიათ სწავლის გაგრძნობა, თუ იმათ გადავიყვანთ ზღვის პირათ ან სოფლათ. ბავშების უმეტესობა საჭიროებს ზაფხულობით დასვენებას სოფლებში, ასეთ შემთხვევებში სრულიათ არაა საჭირო სინატორიები:

ინგლისში ხშირია ეგრეთ წოდებული Convalescent homes. ეს არის უბრალო სოფლებში გამართული კარვები, სადაც გზავნიან ბავშებს საავათყოფოებისაგან გამოსარჩენათ.

ბელგიაში დიდი შეღავათი აღმოუჩინეს მოწაფეებს. იქ ბრიუსელის ახლო ზღვის პირას პირველ მაისიდან პირველ ოქტომბრამდე ისვენებს ხუთი ათასამდე ბავში, აი როგორ.

500 ბავში ოთხი კვირის განმავლობაში.
100 „ ორი კვირის განმავლობაში.
4000 „ რვა დღის განმავლობაში.

წარმოიდგინეთ, ასეთი მოკლე ხნით დასვენება, როგოც რვა დღესა, ისიც კი მშვენიერათ მოქმედებს ბავშვებზე.

საკანიკულო კოლონიები პირველათ დაარსა ციურიხში მღვდელმა Bio-მ, დღეს კი გავრცელებულია ინგლისში, იტალიაში, და ავსტრიაში. მოწაფეებს პატარ-პატარა ჯგუფებათ აბინავებენ სოფლებში, სადაც მათ თვალყურს ადევნებენ მათი მასწავლებლები. გამბურგში კოლონიების საზოგადოება პირდა-პირ აბინავებს ბავშებს გლეხების ოჯახში, სადაც მათ თვალყურს ადევნებენ ადგილობრივი მასწავლებლები.

რუსეთში სუსტ და ავათმყოფ ბავშვების სასარგებლოთ ჯერ ძალიან ცოტა რამ გაუკეთებიათ. ორიენბაუმის ახლო ოცი წელიწადია არსებობს ბავშვების გამოსარჩენი კოლონია, როგორც პრინცი ოლდენბურგელის საავათყოფოს განყოფილება. როფორც მე თვითონ დავრწმუნდი ამ კოლონიის დათვალიერებით, შედეგები მშვენიერია. ორიოდე ადგილს კიდევ არის კოლონია.

ამერიკელებმა მოაწყვეს სუსტ ბავშვებისათვის მცურავი კოლონიები და კარგი შედეგებიც მიიღეს.

სანატორიების და საავათყოფოებს გადემოკრატიზაციების სურვილი დღეს მეტათ ძლიერდება დასავლეთ ევროპაში და ნელ-ნელა იზრდება რუსეთშიაც. ვისურვოთ, რომ კიდევ უფრო გაძლიერებულიყოს ჩვენში ეს მისწრაფება, მით უმეტეს, რომ რუსეთის საზოგადოებრივი პირობის მიხედვით პრაქტიკულათ ასეთი ზომის განხორციელება ყველაზე უფრო შესაძლოა.

ეჭიმი

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია I განყოფილებაში, რომელშიდაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებებშ და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიათ არ მოპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 აგვისტომდის.

თხოვნასთან ერთათ წარმოდგენილ.ენ.ნ.ი.ნ.ნ.ნ